

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N12

ქ.თბილისი

16 ივლისი, 2022 წელი  
12<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

თორნიკე ბიკაშვილი

საბა ბუაძე

ოთარ გრიგოლია

მამუკა გუგუშაშვილი

ირაკლი ემგვერაძე

კონსტანტინე ზარნაძე

ანა კაკაბაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ცოტნე კობერიძე

კახაბერ ლაბუჯიძე

ნათია მოდებაძე

შალვა ოგბაიძე

ლევან ჟორჟოლიანი

რევაზ სოხაძე

გიორგი ჩაკვეტაძე

გივი ჩხარტიშვილი

ნინო წულაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

სოფიო ჯაფარიძე

ლევან არველაძე

ვლადიმერ ბოჟაძე

ანა გოგოლაძე

შოთა გრიგოლია

ლევან დავითაშვილი

ნინო ვარდოსანიძე

მარიამ ზაქარიაშვილი

მიხეილ კაკაურიძე

ნინო კვიციანიშვილი

ზვიად კუპრავა

ლილე ლიპარტელიანი

ირაკლი ნადირაძე

გიორგი ონიანი

ნინო რუხაძე

ვახტანგ სურგულაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

ავთანდილ ცინცაძე

ირაკლი ხელაძე

ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი დავით გუბელიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე და ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი თამარ მელიქიშვილი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი დავით ჩანქსელიანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს ახალ წევრს, ნინო წულაძეს წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა იქნება კონსტრუქციული და ერთად შეძლებენ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას ჩვენი ქალაქისთვის.

ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებაზე, განაცხადა, რომ პირველი ამ ჩამონათვალში არის დეპოლარიზაცია და ძალიან სამწუხაროა, რომ რადიკალური ოპოზიცია იმის ნაცვლად, რომ პოლარიზაციის შესამცირებლად გადადგას ნაბიჯები, უფრო აღრმავებს არსებულ პოლარიზაციას, რისი მაგალითიც არის 12 ივლისს მომხდარი ფაქტი, როდესაც ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არ ჩატარებულიყო საკრებულოს სხდომა. აქვე განაცხადა, რომ ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა მოქალაქეების წინაშე და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „დღევანდელ დღეს, ისევე შეგიძლიათ არ მიიღოთ სხდომაში მონაწილეობა, როგორც მოიქეცით 12 ივლისს და დიახ, თქვენ გარეშე გადავცემთ ანწუხელიძის ოჯახს მიწის ნაკვეთს, თქვენ გარეშე გავაგრძელებთ უკრაინელი დევნილების დაფინანსებას, თქვენ გარეშე გავაგრძელებთ ქონების გადაცემას, პროექტების განხორციელებას და ამ ქალაქის და ქვეყნის განვითარებას... თქვენ გარეშე მივიღებთ ევროკავშირის სტატუსს, თქვენ გარეშე გავხდებით ევროკავშირის წევრები და როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, თქვენ იქნებით ისევე იქ, სადაც ხართ, იქ, სადაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ მიგიჩინათ ადგილი საზოგადოებაში“.

ირაკლი ნადირაძის თქმით, დღესაც რომ იყოს შესაძლებლობა, საკრებულოს სხდომა არ ჩატარდეს წარმოდგენილი დღის წესრიგით, ყველაფერს გააკეთებდნენ ამისთვის, იმიტომ, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რომელსაც მხარს უჭერს ოპოზიცია, დღის წესრიგი სავსეა კორუფციული საკითხებით. აღნიშნა, რომ ის, რაც მოხდა 12 ივლისს, იყო არა რომელიმე ცალკე ოპოზიციონერი წევრის გადაწყვეტილება, არამედ, ერთიანი ოპოზიციის გადაწყვეტილება, რომელიც მიმართული არ ყოფილა რომელიმე კონკრეტული პერსონის საწინააღმდეგოდ და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ამით, კიდევ ერთხელ, დაგანახეთ, რაოდენ მყიფეა „ქართული ოცნების“ უმრავლესობა. ამით, კიდევ ერთხელ, გაგახსენეთ, რომ, ჯერ კიდევ, გაყალბებული არჩევნების დროს, იყავით რეალურად 40%-იანი პარტია და დღეს, როდესაც ღიად გაქვთ აღებული პრორუსული კუთხე, თქვენი მხარდაჭერა არის განახევრებული. ამით, კიდევ ერთხელ, გაგახსენეთ, რომ რაიონებში, სადაც მოგიგეთ არჩევნები, ექვსი თვის განმავლობაში, თქვენ არ შეუქმენით კვორუმი გაერთიანებულ ოპოზიციას მხოლოდ იმიტომ, რომ არ არჩეულიყო საკრებულოს ოპოზიციონერი თავმჯდომარე. იმიტომ, მორალური შეგონებები ნამდვილად არავის გვჭირდება. როდესაც დეპოლარიზაციაზე საუბარი, უნდა გახსოვდეთ, რომ როდესაც მერს ანგარიში აქვს ჩასაბარებელი, უნდა მოვიდეს და ჩააბაროს; როდესაც ფრაქციის სხდომაზე ვიბარებთ სამსახურის უფროსს და გამგებელს, კეთილი უნდა ინებოს, მობრძანდეს და დაესწროს ფრაქციის სხდომას; როდესაც არის საკრებულოს სხდომა, წინა დღეს, 20 საათით ადრე, არ უნდა მოდიოდეს ბიუჯეტი და საკრებულოს სხდომა არ უნდა ინიშნებოდეს 24 საათით ადრე; როდესაც გამგებელი გამოდის და ურცხვად აგინებს მოქალაქეებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეურაცხყოფა მიაყენოს თავისუფალ დემონსტრანტებს, უნდა გამოდიოდეთ და გამოხდეთ“. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არჩეული აქვს ღიად პრორუსული კურსი, არ ფიქრობს, რომ საკრებულოს ყველა წევრი არის „რუსეთუმე“, პირიქით, ფიქრობს, რომ ძალიან ბევრი მათგანის სახელს და იმიჯს არის ამოფარებული რუსული რეჟიმი და იმიტომ, კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ძალიან ძალიან, რომ დაიშლებით, იცოდეთ, რომ, ვისაც არ გინდათ რუსეთში და გინდათ ევროპაში, გელოდებით ყველას მრავალფეროვან ოპოზიციაში“.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ირაკლი ნადირაძეს: „მე თქვენს ადგილზე, მყიფე უმრავლესობაზე ნერვიულობას, მყიფე უმცირესობაზე უფრო ვინერვიულებდი. ჩვენ გვახსოვს, რომ ვართ უმრავლესობა და იმასაც დაგიდასტურებთ, რომ ათი წლის თავზე, ჯანმრთელობის

მდგომარეობის გამო, ერთი ვერშემდგარი საკრებულოს სხდომა ნამდვილად კარგი შედეგია და ამაზე თქვენ ნუ ინერვიულებთ.“

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ბოლო ორი წელი და განსაკუთრებით ეს წელი, კატასტროფად იქცა ჩვენი ხელისუფლების საერთაშორისო პოზიციებით და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „სამწუხაროდ, დღეს, თქვენ აღარ მალავთ იმ პრორუსულ განწყობებს, რომელიც ამდენი წელი გქონდათ. სამწუხაროდ, კელი დეგნანის შეურაცხყოფა არის მისაღები და, როგორც მინიმუმ, არ თვლით საჭიროდ ამის დაგმობას, თითქოს ვერ ხვდებოდეთ, რომ კელი დეგნანის შეურაცხყოფა არ არის ერთი კონკრეტული ადამიანის შურაცხყოფა, ეს არის ამერიკის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის შურაცხყოფა. თითქოს ვერ ხვდებოდეთ, რომ კარლ ჰარცერის შეურაცხყოფა, ევროკავშირის შეურაცხყოფა. თქვენ მოგწონთ ისეთი ევროპა, რომელსაც ხაინძრავა ქადაგებს და ხაინძრავას ნაქადაგები ევროპა ჩვენ ვნახეთ 1990-იან წლებში, როდესაც ავტომატით ხოცავდნენ ადამიანებს ქუჩებში“. მისი თქმით, კატასტროფა საშინაო პოლიტიკაშიც და არ ეგონა, რომ ერთი ადამიანიც კი არ აღმოჩნდებოდა ისეთი, ვინც მერიის თანამშრომლების მიერ სტუდენტების ცემას და დეპუტატის მხრიდან, პატიმრობაში მყოფი ადამიანის, მესამე პრეზიდენტის, გინებას დაგმობდა და მორალურ-ზნეობრივ საკითხს მაინც არ დააყენებდა ამ კუთხით. ასევე, ვერ წარმოიდგენდა, რომ „ქართულ ოცნებაში“ ერთი ადამიანიც კი არ აღმოჩნდებოდა, ვინც სამგორის რაიონის გამგებელს ეტყოდა, რომ ასიათასობით მოქალაქის შეურაცხყოფა არის მიუღებელი და ყველა ერთად დაიწყებდა გამგებლის საქციელის გამართლებას, რომ ეს ყველაფერი მოხდა არასამუშაო საათებში და თურმე, ეს ეპატიება ამ ადამიანს. გიორგი ონიანი გამოეხმაურა სოსო გოგაშვილის დაკავების ფაქტს და განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ დადგა შოუ“, რადგან იცის, რომ დღეს, გოგაშვილის მსგავსად, ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი ეძებს გზებს, თუ როგორ მიიტანოს საზოგადოებამდე მტკიცებულებები, რომ თავად მაინც გადაირჩინოს თავი. მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობის წევრებისთვის არც საკრებულოს დეპუტატების მოსმენასთან დაკავშირებით ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია აღმოჩნდა პრობლემა და არც ის, რომ არჩევნების დროს, აკონტროლებდნენ ხატია დეკანოიძეს, რაც დადასტურებულია ფაქტებით. საუბრის ბოლოს, გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ ყოველკვირეულად ატარებს კვლევებს და იცის, რომ, როგორც 2012 წელს ჰქონდა საზოგადოებას მიღებული ხელისუფლების შეცვლის გადაწყვეტილება, იგივე მდგომარეობაა დღესაც და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „იმ თქვენი აგრეესით, რაც დღეს განახორციელებთ, რაც სტუდენტების მიმართ განახორციელებთ, ამით ვერაფერს მოიგებთ. როგორც მინიმუმ, უნდა გადახედოთ რაღაცებს, რაც არ მოგწონდათ ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ბევრი რამ სწორად და ძალიან ბევრი არასწორად, იმიტომ, რომ თქვენ არც ბათუმი მოგწონთ, არც სიღნაღი მოგწონთ, არც მესტია მოგწონთ, არც საპატრულო პოლიცია მოგწონთ, თქვენ არაფერი მოგწონთ, მაგრამ იყო საკითხები, სადაც თქვენი კრიტიკა იყო სწორი. თუმცა, ის სასამართლო, რომელიც ისედაც ძლივს იდგა ფეხზე, საერთოდ დაანგრეთ და დღეს, მოსამართლეები თქვენი რუპორები გახდნენ დასავლეთთან ბრძოლაში. ეს ძალიან მალე დასრულდება“.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ 12 ივლისს, საქმე გექონდა მართლაც უმსგავსო ფაქტთან, რადგან საკრებულოს ოპოზიციამ არ გაითვალისწინა უმრავლესობის წევრი კოლეგების ჯანმრთელობის მდგომარეობა და მხარი არ დაუჭირა საკრებულოს სხდომის გახსნას, რომელზეც იგეგმებოდა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, რომლებსაც მხარს უჭერდა საკრებულოს უმრავლესობა და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენ უარი იმას კი არ უთხარით, რომ სამშაბათს სხდომა ვერ ჩატარდა, თქვენ უარი უთხარით გიორგი ანწუხელიძის ოჯახს, რომელსაც სოფელ თხინვალაში, სამოსახლოდ, გადავცემდით ტერიტორიას; თქვენ უარი უთხარით კოოპერატივით დაზარალებულებს; თქვენ უარი უთხარით იმ ადამიანებს, ვისაც ოცი წლის განმავლობაში, ჯერ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მოლოდინის რეჟიმში ამყოფებდით და ფართებს არ უკანონებდით, ეხლა უარი უთხარით იმას, რომ მათი საკუთრების უფლებები დადგენილიყო. თუმცა, ინიციატივა მაქვს - დღესაც ნუ შეიწუხებთ თავს ამ საკითხების მიმართ მხარდაჭერით, ჩვენ შეგვიძლია უკვე, რომ

დამოუკიდებლად მივიღოთ ის გადაწყვეტილებები, რომლების მიღებაც წინა სხდომაზე, ჩვენი კოლეგების ჯანმრთელობის მდგომარეობამ შეგვიზღუდა. ყველაზე სასიხარულო ის ფაქტია, რომ საქართველოს მოქალაქეებს, ქართველ ამომრჩეველებს მკაფიოდ აქვთ გამოხატული პოზიცია და თქვენ არ გაძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში იყოთ ჩართული. ერთადერთხელ გქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ რაღაც გარკვეული მნიშვნელოვანი პოზიცია და როლი შეგესრულებინათ ამ მოწვევის საკრებულოში და ისიც გაანიავეთ. ასე, რომ, განაგრძეთ ესე მოქცევა, „ქართული ოცნება“ ამ ფონზე, კი არ დაიშლება, გაძლიერდება და უფრო სხვა ფორმით და სხვა კუთხით დაუდგება გვერდით ქართველ ხალხს“.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ერთმანეთის მიმართ მაღალი მორალური ტრიბუნიდან საუბარი არასწორია იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნება“ არის ის ხელისუფლება, რომელიც ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ დღის წესრიგს და სამოქმედო გეგმას უცხადებს ბოიკოტს და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თქვენმა კოლეგებმა, პარლამენტში, უკვე წინსწრებით დააანონსეს, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას იმ საგანგებო სესიაში, რომელიც, ოპოზიციის მოთხოვნით, გუშინ, მოიწვია საქართველოს პრეზიდენტმა და ამ სხდომის დღის წესრიგში არის კონკრეტული კანონპროექტები ანტიკორუფციულ სააგენტოზე, სასამართლოზე, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელიც პირველი მოსმენით თქვენს მიერვე იყო ინიცირებული და მხარდაჭერილი. აი, ამ დღის წესრიგს უთხარით უარი. ეს არის უარი ევროკავშირის მიერ მოწოდებულ და შემოთავაზებულ დღის წესრიგზე და ამიტომაც, ეხლა, აქ, ზოგიერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ სამეურნეო საკითხის რამდენიმე დღით გადადებს ნუ მივცემთ იმ მნიშვნელობას, თითქოს ოპოზიციამ ქვეყანა დააქცია მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ დღის წესრიგი დგას საბოტაჟზე და პოლიტიკური ოპოზიციის შევიწროვების ყველა შესაძლებლობაზე“. მისი თქმით, ეს არის ის საკრებულო, სადაც დედაქალაქის მერია კატეგორიულ უარს აცხადებს ოპოციასთან თანამშრომლობაზე, მთავრობის წარმომადგენლები არ დადიან ფრაქციის სხდომებზე, პასუხს არ სცემენ საკრებულოს წევრების შეკითხვებს და იმაზე საუბარი, თითქოს ვინმე არ თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, მიუღებელია, რადგან ამ ტონის განმსაზღვრელი არის „ქართული ოცნება“, საკრებულოს უმრავლესობა და პირადად კახა კალაძე, რომელმაც საკრებულოს ოპოზიციას გამოუცხადა ართანამშრომლობა და ყოველდღიურად აყენებს შეურაცხყოფას. განაცხადა, რომ სწორედ ეს არის ის მოცემულობა, რომელზეც დგას ხელისუფლება, ამიტომ, არ გვინდა კონკრეტული საკითხებით სპეკულირება და მიმართა უმრავლესობის წევრებს - „დიახ, ეს იყო ჩვენი ძალიან გააზრებული პასუხი, როდესაც სამშაბათს კვორუმის შედგენის შესაძლებლობა არ მივეცით უმრავლესობას იმ ძალიან ბევრი მავნებლური საკითხის საპირწონედ, რომელიც დღის წესრიგშია და რომლის ამოღებაზეც უარს აცხადებთ“.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ გაცხადებულია ოპოზიციის წევრების კომენტარებით, რადგან, გარდა იმისა, რომ საკრებულოს წევრები არიან კოლეგები, ერთმანეთთან აკავშირებთ პირადი ურთიერთობები. ფიქრობს, რომ კოლეგის ავადმყოფობით სარგებლობა, არის არა საკრებულოს უმრავლესობის წევრების ან იმ ადამიანების უპატივცემულობა, რომლების საკითხებიც უნდა განხილულიყო სხდომაზე, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი თავის უპატივცემულობა და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „თქვენ არაფერი არ გააფუჭეთ და არაფერი არ შეცვალეთ ამით, უბრალოდ, მთელი ამ რვა წლის განმავლობაში, ერთადერთი შანსი მოგეცათ, გამოგეჩინათ პასუხისმგებლობა და ის შანსიც გაატანეთ წყალს“. მისი თქმით, ოპოზიციას არჩეული აქვს დეპოლარიზაციის საპირისპირო გზა, რისი დასტურია თითოეული მათი წინადადება და კომენტარი და აქედან გამომდინარე, მიუღებელია შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, თითქოს უმრავლესობის წარმომადგენლები არ თანამშრომლობენ ოპოზიციასთან. ოთარ გრიგოლიამ ასევე, ისაუბრა ევროპულ გზაზე და განაცხადა, რომ გიორგი ონიანის მხრიდან ევროპულ გზაზე საუბარი სასაცილოა, რადგან, წლების განმავლობაში, ყველამ კარგად დაინახა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ევროპული გზა და მიმართა მას: „აუცილებლად მოვა ის დროს, როდესაც ეს ქვეყანა გახდება ევროპული ოჯახის წევრი და ამ პროცესში თქვენი მონაწილეობა იქნება ნული“.

ნინო კვიციანიშვილი გამოეხმაურა საკრებულოს უმრავლესობის წევრების მხრიდან გიორგი ანწუხელიძის სახელთან დაკავშირებული საკითხის ხსენებას და მიმართა მათ: „დღეს რომ ანწუხელიძე ცოცხალი ყოფილიყო, ის, სავარაუდოდ, უკრაინის გვერდით იდგებოდა იმ ბრძოლაში და შესაძლოა თქვენი გუნდისგან ის ტერორისტადაც კი მონათლულიყო და ვის რამდენად შეგვტკივა გული ამ ოჯახზე, ეს არ იწონება, იმიტომ, რომ პატრიოტებს ესე არ წონიან“. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდშიც არიან „მედსავლეთეები“, რომლებიც ძალიან კარგად ხედავენ, საით მიექანება ქვეყანა და რადგან ფიქრობს, რომ „მედსავლეთეები“ ამ დარბაზშიც არიან, გაოცებულია იმით, რომ მათთვის მისაღებია სამხარაძისა და ე.წ. ფსევდონიმით ცნობილი სულიკო კედელაშვილის ფრაზეოლოგია და მათი დამოკიდებულება ევროკავშირის მომხრე ადამიანებისადმი და თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ისმის ამ დარბაზში ისეთი სიტყვები, რომლითაც ისინი გაემიჯნებიან ამ ორ ადამიანს. განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი იქნებოდა საკრებულოს უმრავლესობას დაეგმო მათი საქციელი და კახა კალაძეს მიეღო ადეკვატური გადაწყვეტილება, თუმცა მან ეს გადაწყვეტილება არ მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ იზიარებს მათ პოზიციას და ყველა ადამიანი, ვინც იზიარებს ასეთ დამოკიდებულებას, ზუსტად იგივე მორალის არის, ვისაც იცავს. ნინო კვიციანიშვილმა ასევე, ისაუბრა ევროკავშირის მომხრე სტუდენტების სახალხო მოძრაობაზე და განაცხადა, რომ მათ წინააღმდეგ მოხდა „კალაძისგან დაგეშილი, მოძალადე ადამიანების გამოყენება, რომლებიც ამ ახალგაზრდებს თავს ესხმოდნენ. ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც ჯიბეზე ჰყავს მიბმული ქალაქის მერს, ოღონდ ეს ჯიბე მისი პირადი ჯიბე კი არ არის, ეს არის ხალხის ბიუჯეტი, ეს არის თბილისელების ბიუჯეტი, მათი ჯიბეა რეალურად და აი, ამ ჯიბიდან აფინანსებს მოძალადე ადამიანებს, იქნება ეს პროექტებში მათი ჩართულობა თუ იქნება ეს ხელფასის სახე, მათ შორის, სხვადასხვა უწყებიდან. შესაბამისად, ადამიანები, რომლებიც არ გამოხეიან ამ მოძალადეების ქმედებებს, ყველა რიგითი ქართველისთვის, ისეთივე მოძალადეები არიან თავიანთი მენტალობით, როგორებიც იყვნენ იქ მყოფი ეს პირები“. ნინო კვიციანიშვილი ასევე, გამოეხმაურა საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ დეპოლარიზაციასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და მიმართა მათ: „როგორ ფიქრობთ, დეპოლარიზაცია ამ ყველაფრით მიიღწევა? სამხარაძის, კედელაშვილის, ამ ზონდერების გამოყენებით?“ თავადვე უპასუხა ამ შეკითხვებს და განაცხადა, რომ ფიქრობს, ეს არ არის არც დეპოლარიზაციის და არც დემოკრატიზაციის გზა, არამედ, პირიქით, ეს არის სწორედ იმ ოლიგარქიული რეჟიმის ნიშანი, რომლის დეოლიგარქიასაც ითხოვს ევროკავშირი რეკომენდაციის ერთ-ერთი პუნქტით. მისი აზრით, რეკომენდაციის თორმეტი პუნქტის შესრულება არც საკრებულოში საქმიანობის იმ გზით მიიღწევა, რომ მონაწილეობა მიიღონ და ნოტარიუსებივით გააფორმონ სხვადასხვა „აღებ-მიცემობის“, საეჭვო გარიგებებისა და მიწების სრულიად არაგონივრული გაცვლის საკითხები. ეს ნამდვილად არ არის ის საქმე, რომელიც უნდა აკეთოს ამ საკრებულომ, ის უნდა ზრუნავდეს ხალხზე და არა კონკრეტული პირების გამდიდრებაზე. ნინო კვიციანიშვილმა, საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თუ, ოდნავ მაინც, გვალეღვებს ამ ქალაქის და ქალაქელების ბედი, ნუ დაუჭერთ დღეს სამოცდაათობმეტივე საკითხს მხარს“.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ 23 ივნისს, საქართველომ მიიღო ისტორიული შედეგი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პირველად მიენიჭა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და აქტიური მუშაობა გაგრძელდება იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოდგენილია რეკომენდაციის თორმეტი პუნქტით. მისი თქმით, ჩვენი საერთაშორისო კოლეგები მოგვიწოდებენ, რომ დავსხდეთ ერთ მაგიდასთან და ვიმუშაოთ თორმეტივე პუნქტზე, რომლიდანაც პირველი არის დეპოლარიზაცია, თუმცა, როგორც ჩანს, ოპოზიციის წარმომადგენლებმა და მათმა ლიდერმა, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების პარტიულმა ნაწილმა, არასწორად გაიგეს ეს გზავნილი, დეპოლარიზაცია წარმოიდგინეს პოლარიზაციად, ინსტიტუტებზე, მათ შორის, მუნიციპალიტეტზე და საკრებულოზე შეტევად და ძალადობაზე და რუსულ ინტერესებზე გვესაუბრებიან ის ადამიანები, რომლებიც დღესაც იღებენ ხელფასს და ანაზღაურებას რუსეთიდან, რომლებსაც დღესაც აქვთ რუსული ბიზნეს-ინტერესები და რომლებიც დასავლეთზე ახორციელებენ შეტევას. განაცხადა, რომ უნდა დავსხდეთ ერთ მაგიდასთან და

დავიცვათ ის პერსპექტივა, რომელიც მივიღეთ, ერთად უნდა გავაგრძელოთ მუშაობა ევროინტეგრაციის გზაზე და არა ამ ქვეყანაში გამოვიწვიოთ კიდევ ერთი ომი, კიდევ ერთი არეულობა და დესტაბილიზაცია, რასაც ცდილობს ოპოზიცია. მაგრამ ეს ასე არ მოხდება, ეს ქვეყანა განაგრძობს განვითარებას, საქართველო აუცილებლად მიიღებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს და დარწმუნებულია, რომ ის პერიოდი, რომელიც საქართველოს მიანიჭა ევროკავშირმა წარმატებით იქნება გამოყენებული იმ რეფორმების განსახორციელებლად, რაც მითითებულია რეკომენდაციაში. გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ერთიანმა ოპოზიციამ „ყველაზე არაევროპული საქციელი ჩაიდინა“ მაშინ, როდესაც მხარი არ დაუჭირა სხდომის ჩატარებას, რომელზეც უნდა განხილულიყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: თბილისის ისტორიული ბიუჯეტი და კოოპერატივით დაზარალებული მოქალაქეებისთვის ბინების გადაცემა, იმედს იტოვებს, რომ რამდენიმე ოპოზიციონერი კოლეგა მაინც განაგრძობს პროდუქტიულ მუშაობას, მათ შორის, იმ მიმართულებით, რაც ეხება მუნიციპალიტეტს, ჩვენი ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

ანა გოგოლაძის თქმით, „ქართული ოცნების“ პირობებში, ეს ქვეყანა რომ გაკოტრდა და გაღარიბდა, არავისთვის არ არის უცხო და ყველასთვის ხელშესახები რეალობაა და ყველა განიცდის. თუმცა, მეორე, ძალიან მძიმე რეალობა არის ის, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში, მივიღეთ დეპოლარიზაციის და მოქალაქეების სეგმენტაციის ძალიან მაღალი ხარისხი და თუ ადრე, ხელისუფლების წარმომადგენლები იმით შემოიფარგლებოდნენ, რომ კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეებს „დესტრუქციულ ოპოზიციად ნათლავდნენ“, დღეს ამისთვის აღარც საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას ერიდებიან და არც საჯარო ტრიბუნას, რისი ძალიან კარგი და ნათელი გამოვლინება იყო გამგებლის, სამხარამის, სრულიად ამორალური განცხადება, რის შემდეგაც, იმის ნაცვლად, რომ მას საჯაროდ მოეხადა ბოდიში, ხოლო კახა კალაძეს მიეღო ადეკვატური გადაწყვეტილება და გამგებელი გადაეყენებინა თანამდებობიდან, მოვისმინეთ სრულიად ალოგიკური და ამორალური გამართლებების მცდელობები. აღნიშნა, რომ არც საკრებულოს უმრავლესობის წევრებს გაუკეთებიათ კომენტარი სამგორის რაიონის გამგებლის განცხადებასთან დაკავშირებით და მიმართა მათ: „არც ერთი თქვენგანისგან კრიტიკულად განწყობილი პოზიცია არ მოგვისმენია, რაც ნიშნავს იმას, რომ თქვენ, ღიად თუ ცხადლივ, იზიარებთ და თუ არ იზიარებთ, მაშინ უნდა გაგეკრიტიკებინათ თქვენი კოლეგა... პოლიტიკურად საზოგადოებად მაშინ შევდგებით, როდესაც შევძლებთ და დავგმობთ ესეთ ამორალურ ქცევას“. ანა გოგოლაძე გამოეხმაურა უმრავლესობის წევრების მიერ დეპოლარიზაციასთან და თანამშრომლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს, აღნიშნა, რომ ორივე მათგანი არის ორმხრივი და როდესაც უმრავლესობის წარმომადგენლები საუბრობენ დეპოლარიზაციაზე, უნდა გაითვალისწინონ, რომ მისი ერთ-ერთი მაჩვენებელი არის ის, რომ, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რა საკითხი განიხილონ და რა არა, ხშირ შემთხვევაში, იღებენ პარტიული ნიშნით, რამაც მიგვიყვანა ძალიან მძიმე მდგომარეობამდე. მისი თქმით, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ უკვე ნახევარი წელია, საკრებულოში წარმოდგენილი აქვს ინიციატივა, რომელიც ეხება მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევას, რაც, მიუხედავად იმისა, ვინმეს მოსწონს თუ არა, არის მოსახლეობის დაკვეთა და მათგან აღიარება, რომ საზოგადოებაში დგას ეს საჭიროება, ხოლო ოთხი თვის წინ, წარადგინა კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შეღავათიანი ტარიფით მგზავრობას. თუმცა, ორივე საკითხი დღემდე საკრებულოს თაროებზე დევს, მაშინ, როდესაც საკრებულოს სხდომამდე ორი დღით ადრე წარმოდგენილი მსგავსი ინიციატივები, მათ შორის, სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებისთვის მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობა, გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. ანა გოგოლაძემ ასევე, ისაუბრა ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რაოდენობაზე, აღნიშნა, რომ ყოველი მეორე ადამიანი ფიქრობს, თუ როგორ დატოვოს საქართველო. განაცხადა, რომ ქვეყანა დაცალა პესპექტივისგან, რაც „ქართული ოცნების“ დამსახურებაა და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ყველას მოგიწოდებთ, როდესაც დეპოლარიზაციაზე გვესაუბრებით,

იგრძნოთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა და დაიწყეთ იმ საკითხების განხილვა, რაც, სულ მცირე, სრულიად აპოლიტიკურია“.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის საკითხთან დაკავშირებით დაიწყო მუშაობა და ალბათ, უახლოეს მომავალში, ამ საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა შედგება ოპოზიციის წარმომადგენლების მონაწილეობითაც. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ანა გოგოლაძის ინიციატივას, არამედ თავისი შინაარსით, მნიშვნელოვანია და შესაბამისად, საკრებულომ უნდა გააანალიზოს და იმსჯელოს რა შესაძლებლობები არსებობს და რა გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი ამ მიმართულებით. ხოლო რაც შეეხება მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევას, აღნიშნა, რომ გამზირზე, სადაც ცხოვრობს რამდენიმე ათასი ადამიანი, ემოციის ფონზე გადაწყვეტილების მიღება მიზანშეწონილი არ არის, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანი დისკომფორტი იქნება ის პროცედურები, რასაც ამ გადაწყვეტილების მიღება გამოიწვევს. თუმცა, ამასთან დაკავშირებითაც გვექნება მსჯელობა და ნუ დავაყენებთ საკითხს ისე, რომ „ეს არის ტაბუდადებული თემა... ეს ნამდვილად არ არის ის, რომ საკრებულო არ განიხილავს თქვენს ინიციატივებს“.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ევროკომისიის რეკომენდაციების გამოქვეყნების შემდეგ, საკრებულო პირველად შეიკრიბა და იმედი ჰქონდა, რომ საუბარი დაიწყებოდა იმით, თუ სად არის საკრებულოს, როგორც თვითმმართველობის, როლი ამ რეკომენდაციების შესრულების პროცესში, თუმცა მისი მოლოდინი არ გამართლდა და პირველივე სიტყვები იყო „თქვენ გარეშე“, რაც კიდევ უფრო აღრმავებს დეპოლარიზაციას. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში, საკრებულოს თითოეულმა წევრმა იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა საქართველოს მოსახლეობის 85%-ის გაცხადებული სურვილის სისრულეში მოსაყვანად და ისაუბრონ იმაზე, თუ რა შეიძლება გააკეთდეს პირველი რეკომენდაციის - დეპოლარიზების მიმართულებით. აღნიშნა, რომ საკრებულოს თერთმეტივე კომისიას ხელმძღვანელობს „ქართული ოცნება“, სამსახურების წარმომადგენლები არჩეული არიან ერთპიროვნულად, უგულვებელყოფილია საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობის წევრები ვალდებული არიან დაესწრონ ფრაქციის სხდომებს და უპასუხონ საკრებულოს წევრების წერილობით შეკითხვებს, რაც არ დაასრულებს პოლარიზაციას და ამიტომ, ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები. განაცხადა, რომ არ შეიძლება ქალაქის განვითარება შევჩეროთ იმის შიშით, რომ, თურმე, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები დაიკავებენ თანამდებობებს, რაც ხდება უკვე ათი წელია და განაცხადა, რომ თავად წარმოადგენს ისეთ პარტიას, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ათიათოსობით ადამიანმა დაუჭირა მხარი და ახალ პარტიებს მისცა შესაძლებლობა, თუნდაც ერთი მანდატით, წარმოედგინა მათი ნება. ნინო წულაძემ ასევე, ისაუბრა ევროკომისიის რეკომენდაციაში მითითებულ დეოლიგარქიზაციაზე და განაცხადა, რომ უნდა დასრულდეს ივანიშვილის ბიზნესებიდან წამოსული ხალხის პოლიტიკური თანამდებობის პირებად გადაფორმირება, რადგან ვხედავთ, რომ სამსახურის ხელმძღვანელები და კონკრეტული თანამდებობის პირები ანგარიშვალდებულებას გრძნობენ არა საკრებულოს და ხალხის წინაშე, არამედ „ბატონის“ წინაშე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მზად არის საკრებულოს წარუდგინოს კონკრეტული ხედვა „თვითმმართველობა ევროპისთვის“, რომელიც ეხება კორუფციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის იდენტიფიცირებას, ქალებზე ძალადობას და მოქალაქეების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან იქნება მისი ხედვის განხილვის და საკითხობრივი თანამშრომლობის მზაობა.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ და ყოველ მათგანზე ჩანს, რომ „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციას შორის უფრო და უფრო რთულდება სიტუაცია. დეპოლარიზაციაზე ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც ყველამ ვნახეთ, თუ რა უწოდეს

ქართველ ხალხს სამგორის რაიონის გამგებელმა და რიჟვამემ; ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ევროპას „ნისიაზე ელაპარაკება“ - ჯერ მოგვეცეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რის მერვე გადადგავს ნაბიჯებს დეპოლარიზაციისკენ და დაწვეს ბარიერს ანუ ევროპასთან ვაჭრობს იმაზე, რაზეც უკვე მოხდა შეთანხმება და ეს არის სრული აბსურდი. მისი თქმით, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ „ქართულ ოცნებას“ თავისი თავის გარდა, არაფერი აინტერესებს და მარკეტინგული კუთხით თუ შევხვდებით იმას, რომ ქალაქში ავტობუსები, მიკროავტობუსები, ნაგვის ურნები და მეტროს ვაგონებში სკამებიც კი არის ლურჯი ფერის, მივხვდებით რომ ეს კეთდება იმისთვის, რომ პარტია ასოცირდებოდეს მთავრობასთან. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ, უნდა ვიყოთ გულწრფელები და სამგორის რაიონის გამგებლის სიტყვების შემდეგ, უმრავლესობის წევრებმა იმაზე არ უნდა ისაუბრონ, თუ რატომ აკრიტიკებს მათ ოპოზიცია და რატომ ჩაიშალა საკრებულოს სხდომა.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ ელემენტარული სამართლიანობის მქონე ადამიანის რეფლექსია ის, რომ, როდესაც ისმენს მაღალფარდოვან საუბარს ევროპულ ღირებულებებზე და ფასეულობებზე, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ამასთან საერთო არაფერი აქვთ, უჩნდება რიტორიკული კითხვა „რა ნამუსით საუბრობენ საერთოდ ამაზე“. მისი თქმით, ნინო კვიციანიშვილმა მიმართა იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ ქვეყნის ევროპული მომავლის გარდა, სხვა ალტერნატივა წარმოუდგენლად მიაჩნიათ და კითხვით მიმართა მას: „ის ადამიანები, ვისაც მართლა გულწრფელად გჯერათ და იზიარებთ ევროპულ ღირებულებებს და ფასეულობებს, როგორ ხართ „ნაციონალურ მოძრაობაში“ და როგორ საქმიანობთ პარტიაში, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ევროპული ღირებულებები და ფასეულობები ფეხქვეშ გათელა ისე, როგორც ეს არ გაუკეთებია არცერთ ხელისუფლებას; რომლის „ლიდერშიფშიც“ არიან ადამიანები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ისეთი რუსული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ცნობილია, როგორც რუსული სპეცსამსახურების კადრების სამჭედლო; რომელმაც ისე დააშორა ეს ქვეყანა ევროსტრუქტურებს, როგორც არცერთ ხელისუფლებას ამ ქვეყანაში არ გაუკეთებია“. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძის წინადადებაზე განაცხადა, რომ ძალიან კარგი ინიციატივაა და მიმართა მას: „მოხარული ვიქნები, განვიხილოთ თქვენი შეხედულებები და იდეები“.

ზვიად კუპრაგამ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება ქალბატონი ალვინა ვართანიანი, რომელსაც, მისი თქმით, 8 ივლისს, სამგორის რაიონის გამგეობაში, თავისი პრობლემის მოსაგვარებლად მისულს, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. განაცხადა, რომ მისთვის, როგორც ქალბატონისთვის და დაზარალებულისთვის, სამგორის რაიონის გამგებელს დღემდე არ მოუხდია ბოდიში და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „იმედი მაქვს, თქვენ, როგორც სამგორის რაიონის და ზოგადად, გამგეობების ხელმძღვანელი, მორალურად იქნებით იმ სიმაღლეზე, რომ ქალბატონ ალვინას მოუხდით ბოდიშს“. აქვე, განაცხადა, რომ თავად, როგორც საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი, ბოდიშს უხდის ქალბატონ ალვინას იმის გამო, რომ დღეს, სამგორის რაიონის გამგეობაში მუშაობს ისეთი „სამარცხვინო ადამიანი“, როგორც არის სამხარაძე.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ თუ ქალბატონი ალვინას მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რაც უნდა გამოიძიოს შესაბამისმა უწყებამ და არა საკრებულომ, ხოლო ხსენებულ მოქალაქესთან დაკავშირებით საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში არსებულ საკითხებზე, განმარტებას გააკეთებს სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რევაზ სოხაძე.

რევაზ სოხაძე დაეთანხმა გიორგი ტყემალაძის განცხადებას, რომ თუ ადგილი ჰქონდა რაიმე დანაშაულს, ამას გამოიძიებენ შესაბამისი ორგანოები და თუ ვინმემ ფიზიკურად იძალადა ქალბატონზე, ის აუცილებლად დაისჯება და განმარტა რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ზემოთ ხსენებულ დღეს, ქალბატონი ალვინა აქტიურად უშლიდა ხელს მუშაობაში გამგეობის თანამშრომლებს, რაც ძალიან ხშირად ხდება. აღნიშნა, რომ ქალბატონი ალვინა არის სოციალურად დაუცველი და სარგებლობს ამ მიმართულებით არსებული სრული



პაკეტი: მისი ოჯახი სარგებლობს უფასო სასაბუღალტრო პროგრამით; გასულ წელს და ასევე, ორი წლის წინაც, გამგეობის მხრიდან, მას გადაეცა 4500 ლარი; წელს უკვე ათვისებული აქვს 4050 ლარი; ორი წლის წინ, სახლის სარემონტო სამუშაოებისთვის, გადაეცა 7000 ლარი. ხოლო ბოლო განცხადებით, რომლითაც მიმართა გამგეობას, ითხოვს 70000 ლარს, რათა ააშენოს უკანონო შენობა-ნაგებობა, და განაცხადა, რომ იმის მიუხედავად, რამდენჯერაც არ უნდა მივიდეს ქალბატონი ალვინა გამგეობაში და იჩუბოს, ეს განცხადება არ დაკმაყოფილდება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ შეუძლებელია ადამიანის მიმართ გქონდეს აგრესია და მასზე თან ძალადობდე და თან მაქსიმალურად ეხმარებოდე.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ზვიად კუპრაძას: „სანამ გულაჩუყებული ემოციით შეეცდებით გვაჩვენოთ, რომ თქვენ შეგტკივით მოქალაქეებზე გული და ჩვენ არა, მანამდე კარგად გადაამოწმეთ არსებული რეალობა და ძალიან გთხოვთ, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, სხდომის დროს, ასეთი რამ აღარ გაიმეოროთ“.

ლილე ლიპარტელიანი გამოეხმაურა საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ 2022 წლის 12 ივლისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩაშლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს, რომ თითქოს, საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ისარგებლეს საკრებულოს რამდენიმე წევრის ავადმყოფობით და განაცხადა, რომ თავად მმართველ პარტიას აქვს ისეთი პოზიცია, რომ რეგიონებში, სადაც დაკარგეს უმრავლესობა, მანამდე არ ჩაატარეს საკრებულოს პირველი სხდომა, სანამ საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში არ შეცვალეს ქვედა და ზედა ზღვრები და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ არ განახორციელეს ცვლილებები. აქვე განაცხადა, რომ ორშაბათს, საქართველოს პარლამენტში მოწვეულია რიგგარეშე სესია და იმის მიხედვით ჩატარდება თუ არა პარლამენტის სხდომა, დავინახავთ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ნამდვილად სურთ თუ არა დეპოლარიზაცია და მათი გზა და კურსი არის თუ არა ევროპისკენ. აქედან გამომდინარე, საკრებულოს უმრავლესობის წევრების მხრიდან საბოტაჟზე საუბარი მიუღებელია, რადგან სწორედ მმართველი პარტია ეწევა საბოტაჟს და ის რაც მოხდა 12 ივლისს, საკრებულოს ოპოზიციის მხრიდან იყო უმრავლესობისთვის პროცედურული წინააღმდეგობის გაწევა, რაც აბსოლუტურად სწორი საქციელია, რადგან „უმრავლესობა მოქმედებს ხელის გადაგრეხვის პრინციპით“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით გუბელიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილაჯია

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილაფა

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით, 135 1-135<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების

შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჩანქელიანი

11. „ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.02.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

12. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, კორპუს „ვ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.016.009.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

13. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.011.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

14. „ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

15. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004.06.500 და N01.12.12.040.004.06.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

16. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

17. „ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.23.188) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

18. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

19. „ქალაქ თბილისში, ზოგდან ხმელნიცვის I შესახვევის N5-ში არსებული 56.23 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

20. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N56/ვაჟა-ფშაველას გამზირი, I კვარტლის კორპუს N17-ში მდებარე 12.51 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.003) და 19.58 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

21. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

22. „ქალაქ თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N13-ში(საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.033.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

23. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის მე-5 კვარტლის კორპუს N3-ში(საკადასტრო კოდი: N01.19.35.004.017.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

24. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩაზე კორპუსი N33-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

25. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N112-ში მდებარე 44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.11.023.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

27. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012, საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

28. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N104-ში(საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.105.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

29. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

30. „ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზ.N8-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.17.010.039) და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.17.010.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ესპრესო ჯორჯიასთვის“ (ს/კ.: 205083416) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

31. „ქ.თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.009.039) პირდაპირი განკარგვის წესით ალექსანდრე შონიასთვის (პ/ნ.: 01008011139) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

32. „ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ.: 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

33. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯონდო ნაყოფიასთვის (პ/ნ.: 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

34. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის“ (ს/ნ.: 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

35. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11367 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685) და 1100 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.443) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.თბილისში, ვიქტორ კუპრამის ქუჩა N38-ში არსებული 1168 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-

ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.022) და ქალაქი თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული 1155 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.440) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ.თბილისში, თვალჭრელიძის II შესახვევი N8-ის მიმდებარედ არსებული 2100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.007.052) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

38. „ქალაქ თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N24-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5400 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.209) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 6436 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.132); ქ.თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 4969 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.134); ქ.თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 755 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.916); ქ.თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 102 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.917); ქ.თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6გ-ში 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.236) და ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 1071 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.929) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 6883 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.158) და ქ.თბილისში, დიდმის საცდელ მეურნეობაში არსებული 2846 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.682) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

41. „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის N299 ოქმით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

42. „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.:N01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI“-ს (ს/ნ.: 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი“, ს/ნ.: 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის Nგ-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2015 წლის 1 ივლისის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nგ-273-17-15618 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 32160 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯონდო ნაყოფიანობის (პ/ნ.: 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6720 ლარს.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დასკვნების თანახმად, პროექტის თანდართულ ფოტომონტაჟზე მითითებული სახით მაგიდების განთავსება პრობლემურია და დაინტერესდა, ამის მიუხედავად, მაინც გავცემთ იჯარით მიწის ნაკვეთს თუ შეიცვალა კონფიგურაცია.

თამარ მელიქიშვილის თქმით, რეკომენდაციაში მითითებულია, რომ მაგიდების განთავსება უნდა მოხდეს ერთ რიგად, რათა გამვლელებს არ შეეშალოთ ხელი, რაც უნდა გაითვალისწინოს მოიჯარემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ. N24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის“ (ს/ნ.: 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2160 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.



35. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11367 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685) და 1100 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.443) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის წინაპირობა არის ის, რომ მოქალაქე ტარიელ გიორგაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არქიტექტურის სამსახურის მიერ, გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული ფერდიდან ჩამოიშალა ნაყარი მიწა, რის გამოც მშენებლობის გაგრძელებას აპროტესტებს ადგილობრივი მოსახლეობა და ამასთანავე, ვაკის რაიონის გამგეობა ითხოვს სარეკრეაციო სივრცის მოწყობას ამ ტერიტორიაზე. აქვე აღნიშნა, რომ გამგეობამ გაატარა რიგი ღონისძიებები ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად, კერძოდ, საჭირო გახდა მათთვის სასტუმროს ნომრების დაქირავება, ბინის ქირით უზრუნველყოფა და კორპუსთან დაკავშირებული გარკვეული სამუშაოების ჩატარება, რამაც ჯამში შეადგინა 631932 ლარი, რაც გათვალისწინებული იქნა მონაცვლეობაში და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საფასურს გამოაკლდა აღნიშნული თანხა და ტარიელ გიორგაძეს, ამის გათვალისწინებით, გადევნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომლის ღირებულება ჯამურად შეადგენს 7000000 ლარს, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება შეადგენს 6968000 ლარს.

ნინო კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ ლორთქიფანიძის ქუჩაზე, მშენებლობის დაწყებამდე არსებობდა დასკვნა, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იყო ამ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება და დაინტერესდა, გატარდა თუ რამე ღონისძიება დასკვნის ავტორი ორგანიზაციის მიმართ და რა პასუხისმგებლობა დადგა გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტი პირდაპირ გადავიდა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხზე. ნინო კვიციანიშვილმა ისაუბრა მონაცვლეობის საკითხზე და განაცხადა, რომ, ზოგადად, როდესაც 3200 კვ.მ. და 12000 კვ.მ. მიწის ნაკვეთები დაახლოებით ერთ თანხად არის შეფასებული, თუნდაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ, ეჭვქვეშ აყენებს დასკვნასაც და თავად გარიგებასაც. ასევე, ისაუბრა კომპანია „ელ ჯორჯიაზე“, რომლის წარმომადგენლები არიან კუპატაძე და ტარიელ გიორგაძე და აღნიშნა, რომ ამ კომპანიას ტენდერებში მიღებული აქვს ათობით მილიონი ლარი, იქნება ეს გამარტივებული შესყიდვით თუ, ფაქტობრივად, უკონკურენტო ტენდერით. ამასთანავე, ხსენებული პირები, ამავდროულად, არიან „ქართული ოცნების“ მსხვილი შემომწირველები და ამიტომ, ასეთი ტიპის მონაცვლეობა ბადებს ეჭვებს.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ კომპანიას, რომელიც ახორციელებდა მშენებლობას დაევალა გაემაგრებინა ჩამოშლილი ფერდი, რაც, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, განახორციელა კომპანიამ. ხოლო რაც შეეხება მიწის ნაკვეთების შეფასებას, აღნიშნა, რომ მის მიერ დასახელებული იქნა მუნიციპალური ქონების ჯამური ღირებულება, თუმცა, რა თქმა უნდა, ხსენებული ქონებები შეფასებულია სპეციალური დათქმებით და ცალ-ცალკე.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებამისაქცევია თარიღები, კერძოდ, ტარიელ გიორგაძეს 2020 წლის პირველ ოქტომბერს განხორციელებული აქვს შემოწირულობა 60000 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც, 2021 წლის 27 აპრილს მიღებული აქვს სამშენებლო ნებართვა, ხოლო 12 აგვისტოს ჩამოიშალა ფერდი. მისი თქმით, წარმოდგენილი მასალების განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ტერიტორიის ნაწილი მოქცეულია რთულ, კლდოვან, რელიეფში, ხოლო არქიტექტურის სამსახურის თანხმობის წერილში, სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის პირდაპირი მოწოდებაა. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რომ მშენებლობის ნებართვის მიცემა ხომ არ უკავშირდებოდა შემოწირულობის განხორციელებას და თუ ეს ასე

არ იყო, საინტერესოა, შეიძლება თუ არა აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელება გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, რომელიც საქმის მასალებში არ დევს.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ გეოლოგიური დასკვნა განსაზღვრავს, როგორც გარკვეულ რისკებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ მშენებლობას, ასევე, იმ ჩასატარებელ სამუშაოებს, რომელიც უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ შემცირდეს გეოლოგიური პროცესების დაწყების რისკი. აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ კონკრეტულ მშენებლობაზე, კომპანიამ სამუშაოები არ განხორციელა არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, რამაც გამოიწვია იმ შედეგის დადგომა რაც მივიღეთ. მისი თქმით, კომპანია დაჯარიმებულია ამ ქმედების გამო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე ეთქვას უარი, არამედ, პირიქით, ამ შემთხვევაში, მონაცვლეობის განხორციელება ქალაქის ინტერესშია. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ, როდის და რა თანხა გაიღო შემოწირულობის სახით, არავითარ კავშირში არ არის წარმოდგენილ საკითხთან, რადგან საკითხი უნდა შეფასდეს შემდეგნაირად: ეს მონაცვლეობა არის სწორი და უნდა განხორციელდეს თუ კერძო მესაკუთრეს უნდა მიეცეს მშენებლობის განხორციელების საშუალება ამავე მიწის ნაკვეთზე.

ნინო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის დროს, ასევე უნდა შეფასდეს პოტენციალი. მისი თქმით, ლორთქიფანიძის ქუჩაზე, 3200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, კერძო მესაკუთრეს არ ექნებოდა ისეთი მოგება, როგორც ექნება იმ 12000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რადგან ამ მიწის ნაკვეთს ემიჯნება მისსავე საკუთრებაში არსებული უკვე აუქციონზე შეძენილი 12000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ფაქტობრივად, მის მფლობელობაში აღმოჩნდება 24000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო კონკრეტულ მიწას აფასებს კონკრეტული პოტენციალით, ხოლო სამსახური ხელმძღვანელობს იმ დოკუმენტით და შეფასებით, რომელსაც მიიღებს. მისი თქმით, მონაცვლეობა ყოველთვის არის ორმხრივი პროცესი და შესაბამისად, კერძო მესაკუთრემ თანხმობა უნდა განაცხადოს შეთავაზებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთების შეთავაზების დროს, გათვალისწინებულია, მათ შორის, მფლობელის ინტერესები და კერძო მესაკუთრემ, იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტს იმ ტერიტორიაზე ჰქონდა უძრავი ქონება, მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორია, რაშიც არაბუნებრივი და ცუდი არაფერია.

ირაკლი ნადირაძის თქმით, არავინ დაობს იმაზე, რომ ლორთქიფანიძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთი უნდა გაიცვალოს და სამშენებლოდ აღარ უნდა განვითარდეს. რა თქმა უნდა, კარგია და სწორია, რომ იმ ტერიტორიაზე მოეწყოს რეკრეაციული სივრცე და ამას ყველა მხარს უჭერს, თუმცა, ამ შემთხვევაში, პრობლემაა მეორე მხარეს, დიდმის ჭალებში, რომელიც „აქილევის ქუსლია“ კახა კალაძისთვის და „ქართული ოცნებისთვის“, რადგან, ჯერ კიდევ დავით ნარმანიას მერობის დროს იყო დაანონსებული, რომ იქ უნდა გაკეთებულიყო დიდი საქალაქო მნიშვნელობის პარკი და ქალაქისთვის ცუდია ის, რომ დიდმის ჭალების ტერიტორია გადადის კერძო საკუთრებაში, რომელიც შემდგომ განვითარდება სამშენებლოდ. მისი თქმით, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა და დღის წესრიგით წარმოდგენილ ერთ-ერთ მომდევნო საკითხშიც ტბის პირას იცვლება მიწა. დღეს, დიდმის ჭალების ტერიტორიაზე არის ეკოციდი, რის გამოც ოპოზიციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ლორთქიფანიძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთი უნდა გაცვლილიყო სადმე სხვა ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთში, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქს, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ აქვს ძალიან ბევრი მუნიციპალური ქონება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.თბილისში, ვიქტორ კუპრამის ქუჩა N38-ში არსებული 1168 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.022) და ქალაქი თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული 1155 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.440) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 და მფლობელს არაერთხელ ჰქონდა მიმართული არქიტექტურის სამსახურისთვის, როგორც მავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ასევე, კლინიკის მშენებლობის მოთხოვნით, თუმცა ყოველ ჯერზე ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ ამ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება არ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესს, რადგან აუარესებს მიმდებარედ მაცხოვრებელთა საცხოვრებელ გარემოს და აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ ტერიტორიაზე სამომავლოდ სკვერის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 220000 ლარს, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ტერიტორია ნამდვილად პრობლემურია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნებისმიერი რეკონსტრუქციული სივრცის მოწყობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, კერძო მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი მიღებული აქვს მიწის აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით და მიმართა თამარ მელიქიშვილს: „თუ იცით, აღიარების საფუძველი რომ იყო, ამ ადამიანს რატომ გადაეცემა მაშინ მიწა, იმიტომ, რომ ეხლა გაუჩნდა პრეტენზია, რომ უკვე გაცვალოს ამხელა მიწაში“.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ მიწის აღიარების კომისიის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ექნებოდა სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები. ფაქტია, მოხდა აღიარება და დღეის მდგომარეობით, ეს მიწის ნაკვეთი არის კერძო საკუთრება, რომელიც კონსტიტუციით გარანტირებული და დაცული უფლებაა და შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოქალაქეს, თავის დროზე, მიწის ნაკვეთი გადაეცა აღიარების საფუძველზე, ვერ იქნება მონაცვლეობისთვის დამაბრკოლებელი გარემოება. ამასთანავე, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ინტერესია, რომ ამ ტერიტორიაზე არ განხორციელდეს მშენებლობა და სამომავლოდ მოეწყოს სკვერი.

ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე, რომელზე ზონის სტატუსის ცვლილებას მიეცა უარყოფითი რეკომენდაცია და დაინტერესდა, რატომ ხდება გადაწყვეტილებების მიღება შერჩევითად.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს მიაჩნია, რომ ალექსიძის ქუჩაზე, ეს ტერიტორია არის მნიშვნელოვანი და უნდა განხორციელდეს მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, ხოლო ლილე ლიპარტელიანის მიერ ხსენებულ ტერიტორიაზე ზონისთვის სტატუსის ცვლილება მუნიციპალიტეტს არასწორად მიაჩნია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ.თბილისში, თვალჭრელიძის II შესახვევი N8-ის მიმდებარედ არსებული 2100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.007.052) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამგორის რაიონის გამგეობა გეგმავს სარეკრეაციო სივრცის მოწყობას. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთები შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და საპრივატიზებო საფასური შეადგენს 7000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქალაქ თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N24-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5400 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.209) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა გამოწვეულია იმით, რომ კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მოქცეულია შატბერაშვილი-ჟვანიას შეუსაბამო გრგ-ს არეალში და შესაბამისად, კერძო მესაკუთრეები არიან დაზარალებული პირები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ქონება შეადგენს 960000 აშშ დოლარს, ხოლო კერძო მესაკუთრეების ქონება ჯამურად - 948000 აშშ დოლარს და შესაბამისად, საპრივატიზებო საფასური შეადგენს 12000 აშშ დოლარს. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის ქონება მხარეებს გადაეცემა იმ დაშვებით, რომ მიწის ნაკვეთი განვითარდება გრგ-ს ფარგლებში, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით და შესაბამისად, შეფასებაც განხორციელებულია ამ დაშვებით.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ კარგია ეს ტერიტორიაც რომ იცვლება, რადგან ამ არეალში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში შეფასება განხორციელებულია კერძო აუდიტის მიერ და იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია უნდა განვითარდეს გრგ-ფარგლებში და საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, დაინტერესდა, ქონების მართვის სააგენტოს აქვს თუ არა უფლება, რომ კერძო აუდიტის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა ან თვითონ შეაფასებინოს ლევან სამსახარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ, რა თქმა უნდა, სააგენტოს აქვს ალტერნატიული ექსპერტიზის მოთხოვნის უფლება და ასევე, შეუძლია მიმართოს ლევან სამსახარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, თუმცა სააგენტოსთვის პრაქტიკაში მისაღებია მხარის მიერ წარმოდგენილი, თუნდაც, კერძო ადიტორის მიერ მომზადებული დასკვნები. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ქონების მართვის სააგენტო აუცილებლად აკონტროლებს, რამდენად ერთნაირი მეთოდოლოგიით არის შეფასებული კერძო და მუნიციპალური მიწის ნაკვეთები, ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ მიწის ნაკვეთები შეფასებული არ არის იდენტური დაშვებებით, დასკვნა უბრუნდება წარმომდგენს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალამემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 6436 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.132); ქ.თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 4969 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.134); ქ.თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 755 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.916); ქ.თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 102 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.917); ქ.თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6გ-ში 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.236) და ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯგრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 1071 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.929) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის წინაპირობა არის ის, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სატყეო ზონა, თუმცა, 2009 წლის გენ.გეგმით, ამ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა და ზოგადად, აღნიშნული და მიმდებარე მიწის ნაკვეთები გამოყოფილი იყო ინდივიდუალური ბინათმშენებლობისთვის, რაც არ განხორციელდა, რადგან ხსენებულ ტერიტორიას, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, დაედო ჯერ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო, ხოლო შემდგომ სატყეო ზონა და აქედან გამომდინარე, კერძო მესაკუთრეს შეეზღუდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა. მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები შეფასებულია დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი კერძო აუდიტის დასკვნით, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 475000 აშშ დოლარს, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება - 486000 აშშ დოლარს.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ეს იქნება ის საკითხი, რომელიც, თანდართულ მასალებთან ერთად, აუცილებლად გაეგზავნება პროკურატურას და ისაუბრა ფაქტობრივ გარემოებებზე. სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, წყნეთში, კერძო საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთს, ახალი გენ.გეგმით, დაედო სატყეო ზონა, თუმცა, 2009 წელს შეიძლება ამ ტერიტორიის განვითარება. აღსანიშნავია, რომ ხსენებულმა პიროვნებამ მიწის ნაკვეთები შეიძინა 2022 წლის 31 მარტს და შესაბამისად, მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ყიდულობდა სატყეო ზონას, რაც ასევე, კარგად იცოდა ქონების მართვის სააგენტომ. კერძო მესაკუთრემ მიწის ნაკვეთები შეაფასებინა კერძო აუდიტს და სამსახურს ეჭვი არ შეეპარა იმაში, რომ თბილისში, ამხელა ტერიტორიები, მაგალითად აეროპორტის ტრასაზე შეიძლება იყიდო 11 აშშ დოლარად და არ გაუშვა ალტერნატიულ ექსპერტიზაზე იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ქონება კერძო მესაკუთრის ქონებაზე დაახლოებით ხუთ-შვიდჯერ მეტია. მისი თქმით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, თეიმურაზ ცინარიძე არის ძალიან კარგი ადამიანი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის წლებია არის მაღალჩინოსნის მძღოლი და პროკურატურაში გახდება ცნობილი, რატომ უცვლით ამ ქონებას შვიდჯერ მეტ ქონებაში. განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ დააყენა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ამ საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღების წინადადება და „ქართული ოცნების“ ყველა დეპუტატმა ძალიან კარგად იცის, თუ ვის

ინტერესშია წარმოდგენილი საკითხი, რომ ცინარიძე არის აბსოლუტურად ფორმალური ადამიანი და მასზე მიწა გაფორმებულია ფიქტიურად. საუბრის ბოლოს, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ეს არის არაადეკვატური გაცვლა და ამაზე ძალიან ბევრ ადამიანს მოგიწევთ პროკურატურაში კითხვებზე პასუხის გაცემა“.

მიხეილ კაკაურიძე დაინტერესდა, რატომ არავის გაუჩნდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ მძღოლს შეიძლება ჰქონოდა იმდენი შემოსავალი, რომ 200000 აშშ დოლარად ეყიდა მიწის ნაკვეთი და გამოთქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი საკითხი გადავდოთ სამომავლო განხილვისთვის და მანამდე დეტალურად შევისწავლოთ თანდართული მასალა, რადგან ასევე, საინტერესოა, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ სატყეო ზონის ფასი იყოს ნახევარი მილიონი. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებულმა პიროვნებამ მიწის ნაკვეთი იყიდა 2 თვის წინ, ნიშნავს იმას, რომ გარიგებაშია შესულია მთავრობასთან და მოუწოდა საკრებულოს წევრებს მხარი არ დაუჭირონ წარმოდგენილ საკითხს.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობისას, უძრავი ქონების რაოდენობა არ არის გადამწყვეტი, მონაცვლეობა ხორციელდება იგივე ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთებით. ქონების მართვის სააგენტოს შესწავლილი აქვს ფასები და უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წყნეთში, ასევე აკადემიქალაქის ტერიტორიაზე, ნამდვილად ფიქსირდება ის ფასები, რაც წარმოდგენილი აქვს განმცხადებელს.

საბა ბუაძის თქმით, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ წარმოდგენილი საკითხი არის თანამდებობის პირის მონაწილეობით გაკეთებული გაცვლა და ამაში კონკრეტული ინტერესია, ეს არის კლასიკური მანიპულაცია, როდესაც მოყვანილია სხვა შემფასებელი და ადამიანს ვამღვეთ საშუალებას, რომ განზრახ, არაკეთილსინდისიერად ნაყიდი ქონება გაცვალოს და მიიღოს ამხელა შემოსავალი. განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იკვეთება ძალიან სერიოზული და ბევრი სისხლის სამართლის დანაშაული და საკრებულოს უმრავლესობის წევრებს მოუწოდა, არ მიიღონ მონაწილეობა „ძალიან, ძალიან, შავბნელ ადგილმონაცვლეობაში, რომელიც არის ძალიან ცხადი კორუფციის ნიშნების შემცველი“.

გიორგი ონიანი დაინტერესდა, თუ სად დაინახეს მერიის სამსახურებმა ამ ადამიანის ზიანი, სად და რომელ მომენტში მიიღო ზიანი, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა გამოუსწოროს. მისი თქმით, საერთოდ რომ არ ვახსენოთ, თუ ვისი მძღოლია ეს ადამიანი და მისია ეს ქონება თუ ფიქტიურად მფლობელია, გაუგებარია, როდის მიიღო ზიანი და რატომ გახდა დაზარალებული მაშინ, როდესაც ზუსტად იცოდა, რომ ყიდულობდა სატყეო ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთს და რატომ ფიქრობს თბილისის მერია და საკრებულო, რომ ეს სატყეო ზონაში არსებული მიწის ნაკვეთი უნდა გაუცვალოთ იმ უძრავ ქონებაში, რომელშიც უცვლით? მისი თქმით, დაზარალდა ის მესაკუთრე, რომლის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს შეეცვალა ფუნქციური ზონის სტატუსი, ხოლო ის, ვინც უძრავი ქონება შეიძინა შეცვლილი ფუნქციური ზონის სტატუსით, არ დაზარალებულა.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულმა მოქალაქემ, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც, თავის დროზე, გამოყოფილი იყო ინდივიდუალური ბინათმშენებლობისთვის, თუმცა შემდგომ, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, დაედო სატყეო ზონა, რის გამოც მესაკუთრეს შეეზღუდა უფლება. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა მესაკუთრე იქნებოდა ის პირი, რომელიც იყო 2009 წელს, თუ იმ პერიოდის შემდგომ ნებისმიერი სხვა მესაკუთრე, რადგან ნებისმიერ მესაკუთრეს იცავს კანონი და კონსტიტუცია უზრუნველყოფს საკუთრების უფლების დაცვას. მისი თქმით, ამ პირს უკვე მიაღგა ზიანი იმიტომ, რომ არის მესაკუთრე.

ლილე ლიპარტელიანი განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს გარკვეული ვალდებულებები, მათ შორის, რომ ენდოს თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნას, თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა კითხვით მიმართავს ექსპერტიზას დაინტერესებული მხარე და, რა თქმა უნდა, ის კითხვას დასვამს ისე, რომ თავად დრჩეს

მოგებული. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო - მერია, იმის გათვალისწინებით, რომ განკარგავს თბილისელების ქონებას, არ არის ვალდებული, რომ ალტერნატიულ ექსპერტიზაზე კითხვა დასვას იმგვარად, რომ არ დაზარალდეს მოსახლეობა?

თამარ მელიქიშვილიმა განმარტა, რომ ქონების მართვის სააგენტო აკონტროლებს თუ რა კითხვა არის დასმული და ზოგადად, სანამ კითხვა დაისმება, აუცილებლად თანხმდება დაინტერესებულ მხარესთან, რომ მიწის ნაკვეთი უნდა შეფასდეს საბაზრო მეთოდით და შესაბამისად, როდესაც იღებს დასკვნას, ყოველთვის ამოწმებს და აკონტროლებს, რომ იდენტური მეთოდოლოგიით იყოს შეფასებული, როგორც კერძო, ასევე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. აქედან გამომდინარე, ყველა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც მონაწილეობს ამ ტრანზაქციაში, შეფასებულია იდენტური დაშვებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 6883 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.158) და ქ.თბილისში, დიღმის საცდელ მეურნეობაში არსებული 2846 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.682) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილიმა და განმარტა, რომ მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის წინაპირობა არის ის, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ, დიღმის ჭალებში მდებარე, მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2, რაც შეიცვალა ახალი გენ.გეგმით და აღნიშნულ ტერიტორიაზე სრულად გავრცელდა სატყეო ზონა. შესაბამისად, მესაკუთრეს შეეზღუდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ კერძო მესაკუთრის ქონების ღირებულება აღემატება მუნიციპალური ქონების ღირებულებას, თუმცა, მონაცვლეობა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე, რადგან კერძო მესაკუთე უარს აცხადებს ფასთა შორის სხვაობის მიღებაზე. ამასთანავე, კერძო მესაკუთრისთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის განვითარების პირობა იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმა, საცხოვრებელი ზონა 3-ის დაშვებით.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული, დიღმის ჭალებში მდებარე, მიწის ნაკვეთი არის უნიკალური სივრცე, რადგან მდებარეობს ტბის პირას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტბის ერთი მხარე გადადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია, რომ კერძო მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი გადაეცემა ტბის მეორე მხარეს, სადაც ის განახორციელებს განაშენიანებას, რადგან ესეთი ტერიტორიები არ უნდა გადადიოდეს კერძო საკუთრებაში, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისს აქვს სხვა ტერიტორიებიც და უმჯობესია ქალაქს დარჩეს რაც შეიძლება მეტი სარეკრეაციო სივრცე.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ დიღმის ჭალების ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში გადადის ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განსაზღვრული არ არის პარკის მოწყობა და განაცხადა, რომ ეს კონკრეტული მონაცვლეობა უკავშირდება იმას, რომ, სამწუხაროდ, მტკვრის სანაპირო ზოლი იყო გასხვისებული და ეხლა ხდება იმ ტერიტორიების გამოსყიდვა, სადაც რეალურად შესაძლებელია რეკრეაციის შენარჩუნება.

ლევან ჟორჯოლიანმა განაცხადა, რომ სამწუხაროდ, მტკვრის შეზღუდვის ზონაში, გაყიდულია ძალიან ბევრი მიწის ნაკვეთი, რომელთა მონაცვლეობაც მოუწევს მუნიციპალიტეტს, თუმცა, რა თქმა უნდა, არის გარკვეული დაშვებები და იმ მხარეს, სადაც კერძო მესაკუთრეებს გადაეცემათ მიწის ნაკვეთები, დიდი ხანია აქტიურად მიმდინარეობს განაშენიანება. შესაბამისად, იმისთვის, რომ დავიცვათ ის ტერიტორიები, რომლებიც არასწორად გაიყიდა, კერძო მესაკუთრეები გადაგვყავს განაშენიანების არეალში. აქვე აღნიშნა, რომ კერძო მესაკუთრისთვის მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა არ არის სავალდებულო და შესაბამისად, უძრავი ქონება უნდა შეირჩეს მასთან შეთანხმებით. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კერძო მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი უნდოდეს უკვე თავის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მიმდებარედ, სამომავლო გაერთიანების პერსპექტივით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის N299 ოქმით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ 2009 წელს, შპს „ოლიმპი თბილისი +“-ს, საკუთრებაში გადაეცა პოლიტოვსკაიას N3-ში მდებარე 364 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შეზღუდვით მშენებლობის უფლების გარეშე, რომლის საპრივატიზებო საფასურმა შეადგინა 72800 ლარი. მესაკუთრის თხოვით, წარმოდგენილია ცვლილების შეტანა აღნიშნულ შეზღუდვაში, კერძოდ, მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის განვითარების შესაძლებლობა მიეცეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის შემცირებული პარამეტრებით, რომლის მიხედვითაც კ1 კოეფიციენტი განისაზღვრება 0.6-ით, კ2 კოეფიციენტი - 2.1-ით და კ3 კოეფიციენტი - 0.2-ით. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, ამ პარამეტრების დაშვების შემთხვევაში, 2009 წელს, მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და საპრივატიზებო საფასურს შორის სხვაობა იქნებოდა 37108 ლარი, რაც, დღეის მდგომარეობით, შეადგენს 239309 ლარს, რომელსაც კერძო მესაკუთრე გადაიხდის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი საკითხი ეხება აუქციონზე გაყიდულ მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ვრცელდება შეზღუდვა მშენებლობის უფლების გარეშე და ამ ეტაპზე საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია ხსენებული პირობის მოხსნის საკითხები. განაცხადა, რომ უამრავ მსგავს საკითხზე, რომელიც არის არა 2009 წლის, არამედ შემდგომი პერიოდის, მათ შორის, ახალი გენ.გეგმის მიღებამდე გაყიდულ მიწის ნაკვეთებზე, პირობა შეცვლილია წერილობითი თანხმობით, რომ სხვა მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შემთხვევაში, სამსახური პირობის მოხსნის წინააღმდეგი არ არის და დაინტერესდა, რატომ არის განსხვავებული მიდგომა.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ლილე ლიპარტელიანის მიერ ხსენებულ შემთხვევებში საუბარია არა მშენებლობის უფლების გარეშე მიწის ნაკვეთის გაყიდვაზე, არამედ დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე მიწის ნაკვეთების გაყიდვაზე, რაც აბსოლუტურად განსხვავებული შემთხვევაა და პირდაპირ არის მიერთების პირობა, რაც, თავისთავად, ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი მიერთება სხვა მიწის ნაკვეთთან, რის გამოც, კანონმდებლობის ნორმატიული მონაცემების მიხედვით,



გახდება შესაბამისი მიწის ნაკვეთი, ქონების მართვის სააგენტოს შეუძლია თანხმობა გასცეს მეზღუდვის მოხსნაზე.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ პირობადადებული აუქციონის პირობების ცვლილება, რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა იცვლება. წარმოდგენილი საკითხი ეხება სტადიონის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, რომელიც არის გამწვანებული ტერიტორია და როდესაც სტადიონების მიმდებარედ ან რეკრეაციულ ზონებში იყო დადებული პირობა, ის პირობები არ უნდა შეიცვალოს.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ხსენებულ მიწის ნაკვეთზე, გაყიდვის მომენტში, ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა და შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე არასდროს ყოფილა გათვლილი სარეკრეაციო სივრცის მოწყობა. აქვე აღნიშნა, რომ კერძო მესაკუთრეს, მართალია უნებართვოდ, მაგრამ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილი აქვს შენობა-ნაგებობა, რომლითაც წლებია სარგებლობს და რეალურად, დღეს ის იხდის თანხას იმაში, რითიც უკანონოდ სარგებლობს.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ის, რომ მიწის ნაკვეთს ოდესღაც რაღაც ზონა ედო, არ ამართლებს არაფერს. აღნიშნულ ტერიტორიაზე არის აქტიური რეკრეაცია და ამასთანავე, ის ადამიანი, რომელმაც შენობა-ნაგებობა ააშენა იქ, სადაც მშენებლობა არ შეიძლებოდა, მუნიციპალიტეტის მხრიდან არ იმსახურებს შეღავათებს და იმას, რომ ხელი შევუწყობთ სტადიონის გვერდით ჩადგას ახალი კომერციული ფართი. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა, მოქალაქეებს დაუზღვრა უკანონოდ აშენებული საცხოვრებელი სახლები აფრიკაში და იმას, ვინც, სტადიონთან, რეკრეაციულ ზონაში, სადაც მშენებლობა არ შეიძლებოდა, ააშენა შენობა, მივცეთ ამ შენობით სარგებლობის უფლება, არასწორია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ თანხის გადახდას, განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც დათვლილი არ არის ამ ადამიანის შემოსავალი და ის ათი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად შეიძლება შოულობდეს 100000 დოლარს, რა თქმა უნდა გადაიხდის 200000 ლარს.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი, მათ შორის სტადიონი, არის არა რეკრეაციული ზონა, არამედ, ძალიან დიდი გრგ-ს მიმდებარე ტერიტორია, რომელიც არასდროს ყოფილა რეკრეაციული ზონა და მასზე ყოველთვის ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, რომლის პარამეტრების სრულად ათვისება არ ხდება ამ პირობის ცვლილების შედეგად და მიწის ნაკვეთის პოტენციალის დაფიქსირება ხდება უფრო დაბალი პარამეტრებით. მისი თქმით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მშენებლობის უფლების გარეშე გასხვისება თავის დროზეც არასწორი გადაწყვეტილება იყო და ამასთანავე, ის, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ობიექტი, არ უნდა შევადაროთ აფრიკის დასახლებაში მომხდართან, რადგან მათ შორის ძალიან დიდი განხვავებაა - ის იყო სახელმწიფოს მიწაზე განხორციელებული უკანონო მშენებლობა, ხოლო აღნიშნული არის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

გიორგი ონიანის თქმით, ყველა თანხმდება იმაზე, რომ სახელმწიფოს მიწაზე უკანონო მშენებლობა მიუღებელია, თუმცა, თუ უკანონობას მივყვებით, უკანონობა ასევე მშენებლობის განხორციელება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც აკრძალულია მშენებლობა. თუ მივდივართ იმ მიმართულებით, რომ ეს საკითხი მოვავგაროთ, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს ქმედებას ვეღარ ექნება შემდგომი განვითარება, რადგან მუნიციპალიტეტის ინიციატივით, იქნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უმჯობესი ხომ არ არის, მუნიციპალიტეტმა, იმ ადამიანებს, რომლებსაც უკვე ათვისებული აქვთ მიწის ნაკვეთი და უკანონოდ აშენებული აქვთ საცხოვრებელი სახლები, დანგრევის ნაცვლად, გარკვეულ ფასში აყიდინოს და დაუკანონოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება, იმ შემთხვევაში, თუ პირი წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმადაც მის მიერ აშენებული შენობა არის მყარი და არავითარ საფრთხეს არ ქმნის.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება იმ მიდგომას, რომლითაც ამ ტერიტორიას უყურებს მუნიციპალიტეტი, რადგან, მისი თქმით, მერია, ამ კონკრეტულ შემთხვევას უყურებს როგორც

პრობლემას, თუმცა ის უნდა დავინახოთ როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ შევინარჩუნოთ სივრცე, სადაც რეალურად გამწვანებული ტერიტორიაა. გასაგებია, რომ გრგ-თი გათვალისწინებული იყო სხვა რამ და იქ არსებული სტადიონიც იმ გრგ-ს ნაწილია, ასევე, გასაგებია, რომ ტერიტორიაზე გავრცელებული ზონის სტატუსის მიხედვითაც სხვა მოცემულობა გვაქვს, თუმცა, ფაქტობრივად, ხსენებულ ტერიტორიაზე არის სტადიონი, რომლის გვერდზე გამწვანებული ტერიტორიაა და მუნიციპალიტეტმა, იმის ნაცვლად, რომ ნაბიჯები გადადგას პრობლემის მოგვარების კუთხით, უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა იმისთვის, რომ შეინარჩუნოს გამწვანებული სივრცე. მისი თქმით, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტი ამ საკითხს უყურებს დღევანდელი დღის პერსპექტივით და არა იმ მიმართულებით, რომ აქ შესაძლებელია იყოს სარეკრეაციო სივრცე, რომელიც გამოყენებული იქნება იმ დანიშნულებით, რომლითაც ბუნებრივად ჩამოყალიბდა და სწორედ ამიტომ, ზემოთ ხსენებული შეზღუდვის მოხსნის წინააღმდეგია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI“-ს (ს/ნ.: 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი“, ს/ნ.: 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის Nგ-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ 2011 წელს, აუქციონის ფორმით, შპს „დიდუბე XXI“-ს, 59052 ლარად, საკუთრებაში გადაეცა, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე, 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შეზღუდვით მშენებლობის უფლების გარეშე. დაინტერესებული მხარის თხოვნით, წარმოდგენილია 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გათავისუფლება ხსენებული შეზღუდვისგან, კიბის უჯრედის და ლიფტის მოწყობის მიზნით. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, ეს 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 2011 წელს რომ გასხვისებულიყო მშენებლობის უფლებით, ფასთა შორის სხვაობა იქნებოდა 21457 ლარი, რომელსაც დაინტერესებული მხარე გადაიხდის გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2015 წლის 1 ივლისის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nგ-273-17-15618 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ 2015 წელს, აუქციონის

ფორმით, ფიზიკურ პირს, დიდმის მასივში, გადაეცა სამი მიწის ნაკვეთი: 37 კვ.მ., 64 კვ.მ. და 8 კვ.მ., საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით, თუმცა, შემდგომში, მესაკუთრემ შეიძინა მიმდებარედ არსებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომლების გაერთიანების შედეგად მიიღო 723 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. დაინტერესებული პირის თხოვნით, წარმოდგენილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის მოხსნა. აღსანიშნავია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთები რომ გასხვისებულიყო საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობის გარეშე, ფასთა შორის სხვაობა არ დაფიქსირდებოდა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი არის სტადიონის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც უნდა განვითარებულიყო საზოგადოებრივი ფუნქციით, თუმცა, წარმოდგენილია ამ ვალდებულების მოხსნის საკითხი, რაც, მისი თქმით, მესაკუთრეს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ ტერიტორია განავითაროს ამ დაბრკოლების გარეშე.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარება არ გულისხმობს აუცილებლად სარეკრეაციო სივრცის მოწყობას, მხარეს თავისუფლად შეეძლო აღნიშნულ ტერიტორიაზე განეთავსებინა პავილიონები, ჯიხურები და ა.შ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ იმ არეალში, სადაც წარმოდგენილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის მოხსნა, რეალურად არის შენობა-ნაგებობა და საუბარია იმაზე, რომ ეს შენობა არ იყოს კომერციული და იყოს საცხოვრებელი. შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი კუთხით, არაფერი იცვლება.

ირაკლი ნადირაძის თქმით, მისთვის ცნობილია, რომ ხსენებულ მიწის ნაკვეთზე დგას შენობა, თუმცა, მესაკუთრემ რომ მოინდომოს მომავალში ამ შენობის ნაცვლად თუნდაც ოცსართულიანი კორპუსის მშენებლობა, შეზღუდვა აღარ ექნება. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სტადიონის გვერდით და გამოთქვა მოსაზრება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის მოხსნა განპირობებულია იმით, რომ ამ საკითხის უკან დგანან მიხეილ ჩოხელი და ოთარ ფარცხალაძე.

თამარ მელიქიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით რეალურად ხდება ტერიტორიის ერთიანი სახით მოწესრიგება, რადგან ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთები გასხვისებულია ცალ-ცალკე, საზოგადოებრივი ფუნქციით და აქ შესაძლებელია ყოფილიყო თუნდაც ჯიხურები. თუმცა, შემდგომ, შეიკრა 723 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც ერთიანად განვითარდება უფრო სწორად, ვიდრე ცალ-ცალკე.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ 723 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შეზღუდვა ვრცელდება 109 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და ამის გამო ამ ტერიტორიის განვითარების შესაძლებლობაზე უარის თქმა, არასწორია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთზე დგას არსებული კარკასი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს- ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ.: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და

განმარტა, რომ საკითხი შეეხება ყოფილი რადიოქარხნის პროექტს. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ, საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე პროექტი უნდა განახორციელოს შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად, თუმცა სამუშაო პროცესში წარმოიქმნა კონცეფციის დაზუსტების და დაკონკრეტების საჭიროება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები: განისაზღვრება მიწის ნაკვეთზე განსავითარებელი სავალდებულო და არასავალდებულო ანუ კონკრეტული ფუნქციის ობიექტები და მათი განვითარებისთვის განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური ფართობები; სავალდებულო კატეგორიების ასათვისებელი ფართობი განისაზღვრება 80000 კვ.მ.-ით; მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, მხარეს ეკისრება ვალდებულება, რომ 2023 წლის 31 მარტამდე, არანაკლებ 7500 კვ.მ.-ზე დაასრულოს სარეკრეაციო და საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება და მოწყობა; მხარე ვალდებულია, 2023 წლის 31 დეკემბრამდე, დაასრულოს მიწის ნაკვეთზე მდებარე ადმინისტრაციული შენობის ნაწილისა და მისი მიმდებარე სივრცეების მოწყობა; 2025 წლის 23 სექტემბრამდე სრულად უნდა აითვისოს მიწის ნაკვეთი და განავითაროს შეთანხმების პირობების, ფუნქციების და მიზნების შესაბამისად. ცვლილების შედეგად, კომპანია ასევე, ვალდებული იქნება, თითოეული ვალდებულების, როგორც საფინანსო, ასევე, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შინაარსობრივი ვალდებულებების დამადასტურებლად წარმოადგინოს ექსპერტიზის შუალედური და საბოლოო დასკვნები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, დამატებით განისაზღვრება პირგასამტეხლო და ვადები, თუ როგორ და რა პერიოდულობით უნდა მოხდეს კონკრეტული ინვესტიციის განხორციელება.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ მიმდინარეობს ძალიან დიდი ტერიტორიის განვითარება და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა უნდა იცოდნენ, თუ რა კეთდება იმ ტერიტორიაზე და კარგი იქნება, მერამ უზრუნველყოს აღნიშნული. აქვე აღნიშნა, რომ კომპანიას შესასრულებელი აქვს მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა არმესრულების შემთხვევაში არის ჯარიმა და დაინტერესდა, თუ როგორ ხდება თანხის დათვლა.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ზოგადად, ხელშეკრულებით გაწერილი ჯარიმა არის 0.1%, რომელიც ეხება საინვესტიციო ვალდებულებებს. თუმცა, მუნიციპალიტეტი კომპანიას დამატებით უწესებს ჯარიმას, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიის განვითარება მოხდება არამიზნობრივად და არაფუნქციურად, ჩაითვლება დარღვევად და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პიგასამტეხლო 500 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ.: 405476872) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით, ნუცუბიძის

ფერდობზე, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ 17173 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა შემდეგი პარამეტრებით: კ2 – 2.1, ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 5, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართის მინიმალური ოდენობა - 3650 კვ.მ., თუმცა, წარმოდგენილი პროექტით, გამარჯვებული კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართის ოდენობა შეადგენს 7600 კვ.მ.-ს. აღნიშნული ფართით დაკმაყოფილება სამოცდათორმეტი დაზარალებული პირი, რომლებიც შეირჩნენ საბურთალოს ტერიტორიის და სიის ფორმირების ეტაპისთვის არსებული დაბალი სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სამ ლოტად: პირველი განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2.5 წლის ვადაში, მეორე - 3.5 წლის ვადაში, ხოლო მესამე ლოტი დასრულდება 5 წლის ვადაში.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილების საკითხს მხარს უჭერს და დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა, რომ მშენებლობის პროცესში მოხდეს ინტერესთა გამოხატვით გამოცხადებული პირობების კორექტირება.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა კონკრეტული პირობებით და პროექტში ცვლილების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ თბილისის მთავრობის და საკრებულოს თანხმობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „იმობილიარესთვის“ (ს/ნ.: 400324056) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებულ 4552 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა შემდეგი პარამეტრებით: კ2 – 4.2, ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6. კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართი შეადგენს 2000 კვ.მ.-ს, რომლითაც დაკმაყოფილება ოცდაშვიდი პირი, რომლებიც შეირჩნენ, სიის ფორმირების ეტაპისთვის არსებული დაბალი სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. მშენებლობის განხორციელების ვადა განისაზღვრება 3.5 წლით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

47. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკმაყოფილებისთვის, სპეციალური ზონალური შეთანხმებით, დასაშვებია იქნება ობიექტის 100%-ით საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება და აღნიშნულის განხორციელებისას, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული 4%-ის გადაცემა მუნიციპალიტეტისთვის არ იქნება მოთხოვნილი იმ შემთხვევაში, სადაც ობიექტის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის არანაკლებ 50% გამოყენებული იქნება დევნილთა დაკმაყოფილებისთვის. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრეფერენციები გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება მემორანდუმი სამინისტროსა და შპს-ს შორის. ამასთანავე, პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით ზუსტდება მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ბინა-ერთეულების ფართის დათვლის წესი, კერძოდ, დაანგარიშება მოხდება კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართიდან და ასევე, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გადასაცემი ფართის შესაბამისი თანხის გადახდა მოხდება პირდაპირ ბიუჯეტში, ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

48. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-0322096122-03 თარიღი: 06.04.2022 (განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „ი“ პოზიცია), N12-03221661-03 თარიღი: 15.06.2022, N12-032217431-03 თარიღი: 23.06.2022, N12-032217437-03 თარიღი: 23.06.2022, N12-0322179123-03 თარიღი: 28.06.2022, N12-03221812 თარიღი: 30.06.2022 და N12-0322187132-03 თარიღი: 06.07.2022 რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-0322187132-03 წერილით წარმოდგენილი „დ“ „ზ“ და „ი“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

49. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N9-45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს

სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ 2019 წლის 15 მარტის დადგენილებით, ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე, სარეკრეაციო ზონა 2 შეიცვალა საცხოვრებელი ზონა I-ით იმ პირობით, რომ მესაკუთრის მიერ გადახდილი უნდა ყოფილიყო ფასთა შორის სხვაობა, თუმცა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასების თანახმად, ფასთა შორის სხვაობა არ არსებობს და აქედან გამომდინარე, ზონის სტატუსის შეცვლა მოხდება ხსენებული პირობის გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

50. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.423) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 17000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით. იქიდან გამომდინარე, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილება მოხდეს რაც შეიძლება მოკლე დროში და იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია სრულად მოწესრიგებულია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი განაშენიანება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

51. „ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.831; N01.72.14.014.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 7240 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

52. „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 9000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ერთი მრავალფუნქციური შენობა, რომლის 90% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 10% - კომერციულ-საზოგადოებრივ ფუნქციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

53. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 16000 კვ.მ., რომელზეც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, სადაც 90% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 10% - საზოგადოებრივ ფუნქციას.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი არის „არენას“ კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია და დაინტერესდა, კომპლექსი დარჩება უცვლელად თუ განხორციელდება მისი რეკონსტრუქცია.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ 16000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოიცავს, როგორც „არენას“, ასევე, ცარიელ ტერიტორიას და განვითარება ხორცილდება მხოლოდ და მხოლოდ ცარიელ ტერიტორიაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953) სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 20000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ყინულის მოედნის,



საცურაო აუზის და სასტუმროს მშენებლობა, რომლის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 17 მეტრით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

55. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთებსა(საკადასტრო კოდები: N81.01.02.681; N81.01.02.682; N81.01.02.522; N81.01.02.523; N81.01.02.558; N81.01.02.275; N81.01.03.444-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 39000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ოცდაათობმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, იოანე ბატონიშვილის ქუჩა, N11ა, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.08.11.472; N81.08.11.408) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 28000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, დაგეგმილია ოცდათხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანება, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „ქალაქ თბილისში, გოთუას ქუჩა, კორპუსი NI-ის მიმდებარედ; გოთუას ქუჩა N28, 26დ, 24დ, 24ზ, 24ბ, 24გ, 24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.10.13.004.032; N01.10.13.004.102; N01.10.13.004.103; N01.10.13.004.101; N01.10.13.004.099; N01.10.13.004.112; N01.10.13.004.113; N01.10.13.004.075; N01.10.13.004.095; N01.10.13.004.121-ის ნაწილი) და

მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 5000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 12 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

58. „ქალაქ თბილისში, გიორგი ტერევერკოს II ჩიხი, N2, N 4, N6, N8, N9; ქალაქი თბილისი, გიორგი ტერევერკოს ქუჩა N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.01.017.080; N01.13.01.017.078; N01.13.01.017.079; N01.13.01.017.065; N01.13.01.017.082; N01.13.01.017.076) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 5199 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი, შვიდსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

59. „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 12000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის სრულად ათვისება და გამოყენება. აღსანიშნავია, რომ შენობა-ნაგებობიდან, 7100 კვ.მ. ფართი გათვალისწინებული იყო ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემად, ხოლო წარმოდგენილი ცვლილების შემდეგ, მუნიციპალიტეტს, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებით გადმოეცემა 1968 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი გადაცემული იყო კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებისთვის, რომლებმაც კომპანიასთან გააფორმეს ხელშეკრულება, გარკვეული პირობებით და დაინტერესდა, შეთანხმებულია თუ არა ამ პირობების ცვლილება მოსახლეობასთან. მისი თქმით, ამ ეტაპზე წარმოდგენილი კ2 კოეფიციენტის გაზრდა, თავისთავად, იწვევს მშენებლობის მოცულობის ზრდას, რაც შედის კომპანიის ბიზნეს-ინტერესში და არა დაზარალებულების ინტერესებში.

ოთარ ჩიტძემ განმარტა, რომ ხსენებულ მიწის ნაკვეთზე არ ყოფილა გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა და მიწის ნაკვეთი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, გადაეცათ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს, რომლებმაც თავად მოიძიეს მშენებელი კომპანია და აქედან გამომდინარე, დადგენილი არ იყო განაშენიანების კოეფიციენტი, თუმცა, გენ.გეგმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, კოეფიციენტით 4.6. ხოლო, რაც შეეხება კოოპერატივით დაზარალებულ მოსახლეობას, თითოეული მათგანი მიიღებს მათსა და შპს-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

60. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.062-ის ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 92000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ორმოცდათერთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

61. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N5, N6-ში (ნაკვ. 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5700 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

62. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი; N01.14.06.006.131) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობი 81000 კვ.მ. დაგეგმილია ტერიტორიის გამიჯვნა 18 საკადასტრო ერთეულად და 17 მათგანზე ორმოცი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. აღსანიშნავია, რომ ტერიტორია გადაცემულია კოოპერატივის წევრებისთვის და ამ მშენებლობით დაკმაყოფილდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული სამოცდაცამეტი პირი, რომლებსაც ჯამში გადაეცემათ 7857 კვ.მ. ფართი.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ფრაქციამ მოითხოვა აღნიშნული საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღება. ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე განსაზღვრული იყო ვალდებულება, რომ მშენებლობა განხორციელდებოდა ორი მიწის ნაკვეთიდან ერთზე და ფართობით დაკმაყოფილდებოდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული სამოცდაცამეტი პირი, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი 17000 კვ.მ., ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს უნდა მოეწყო პარკი. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, მშენებელი ორივე ნაკვეთს ითვისებს სამშენებლოდ.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ ინტერესთა გამოხატვაში იყო ორი საკადასტრო ერთეული და გათვალისწინებული იყო, სამშენებლო განვითარება მთლიან 81000 კვ.მ. ტერიტორიაზე და ამასთანავე, იყო პირობა, რომ 17000 კვ.მ.-ზე მოწყობილიყო სკვერი, რაც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებაში.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე კონკრეტულად იყო მითითებული, რომ სამშენებლოდ გამოყენებული იქნებოდა ნაკვეთი 1, ხოლო ნაკვეთი 2-ზე მოეწყობოდა პარკი, მისი მოვლა-პატრონობის ვალდებულებით.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი ნაკვეთი 2-ზე, რომლის ფართობი 38000 კვ.მ., საიდანაც 17000 კვ.მ.-ზე გათვალისწინებულია პარკის მოწყობა, წარმოდგენილია შემდეგი საკითხით.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ხსენებული საკითხი წარმოდგენილია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ორი პროექტით. ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე არსებული ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს 17000 კვ.მ.-ზე სკვერის მოწყობას, უცვლელი რჩება და წარმოდგენილია შემდეგი პროექტით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

63. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის წინა საკითხის იდენტური, ამ შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 38000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება ექვსი, რეასართულიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

64. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 46000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება შვიდი, ხუთსართულიანი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

65. „სს „ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ.: 405375277) და იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ.: 205176628) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ.43 (ს/კ.: N01.10.13.015.069) დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, იცვლება მხოლოდ და მხოლოდ ესკიზი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

66. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების თვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ.N22-ში (ს/კ.: N01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან

მიმართებაში, მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტის“ (ს/ნ.: 405204540) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა და განმარტა, რომ შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტმა“ რვა კალენდარული დღით დააგვიანა გადახდა, რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლო 1710 ლარის ოდენობით.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი და მსგავსი საკითხები პირდაპირ ეწინააღმდეგება კახა კალაძის დაპირებას, რომ კოეფიციენტები აღარ გაიყიდებოდა, რადგან საკრებულოს სხდომებზე უამრავი საკითხი გამოდის „იმ საფარქვეშ“, რომ ვებმარბით კოოპერატიული ბინათმშენებლობით ან „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებულებს, რაც მისი თქმით, ნამდვილად კარგია, თუმცა, ამის სანაცვლოდ, სადაც იზრდება კოეფიციენტი. განაცხადა, რომ ესეთი საკითხები არის პრობლემური, რადგან ბადებს კითხვებს კორუფციასთან და ნეპოტიზმთან დაკავშირებით და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება შემოღებული იქნას დამატებითი რეგულაციები, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი ყოვლად გაუგებარი და აბსურდული შემთხვევები, როგორც ერთ-ერთი მომდევნო საკითხით არის წარმოდგენილი, კერძოდ, ერთ-ერთი კომპნია, წერეთლის გამზირზე მიმდინარე მშენებარე ობიექტზე ითხოვს კოეფიციენტის მოკლებას და მის დამატებას ისინი რაიონში არსებულ სამშენებლო ობიექტზე. მისი თქმით, იმის გამო, რომ ვიღასაც პრობლემა მოუგვარდეს, სანაცვლოდ სხვას, ამ შემთხვევაში, ისანში მაცხოვრებელს, გვერდით არ უნდა აუშენო იმ მოცულობის შენობა, რომ გაუუარესო საცხოვრებელი პირობები.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ კოეფიციენტის მატებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არავის უხარია და ეს არის იძულებითი ნაბიჯი, რომელიც გამოწვეულია არსებული რეალობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქში ძალიან ბევრი ძველი აშენებული კორპუსია, რომელსაც მის გვერდით მიმდინარე ყველა მშენებლობა, არ აქვს მნიშვნელობა კოეფიციენტი მომატებული იქნება თუ არა, უუარესებს მდგომარეობას. მისი აზრით, უმჯობესი იქნება, კ2 კოეფიციენტის მატებიდან შემოსული თანხა მიმართული იყოს არა მხოლოდ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებზე, არამედ მოხმარდეს იმ ამხანაგობების პროგრამებს, სადაც სულ დეფიციტია, თუმცა ამ საკითხში, მას არ აქვს კოლეგების მხარდაჭერა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში, კახა კალაძემ უნდა გვითხრას, რომ ამ ქალაქს, კოეფიციენტების მატება ცალკეულ შემთხვევებში სჭირდება და არ დაკავდეს პოპულისტობით. მისი თქმით, უმჯობესია იყოს ზოგადი წესი, რომელიც გავრცელდება ყველა იმ მიმართულებით, სადაც იქნება ამის საჭიროება.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა სხდომაზე, რომელზეც განიხილება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, ამბობს ერთი და იგივეს, რომ შეუძლებელია 10-დან 8 კომპანია იყოს მმართველ პარტიასთან და დედაქალაქის მერთან დაახლოებული. მისი თქმით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების პრობლემა არის ვილადისთვის „ხელის მოთხოვის შესაძლებლობა“, რაც კარგად ჩანს ყველა წარმოდგენილ პროექტში და მათ შორის, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ ერთ-ერთი საკითხშიც, რომელიც უგულვებელყოფს სახანძრო უსაფრთხოების წესებს. მისი თქმით, პრობლემურ სიტუაციაში, შესაძლებელია გარკვეულ დათმობაზე წასვლა, თუმცა, იქ, სადაც ურბანულად რვა და ცხრასართულიანზე მაღალი შენობა არ დგას, არ შეიძლება ააშენო თვრამეტსართულიანი კორპუსი. საბა ბუაძემ რიტორიკული კითხვით მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „რატომ ხდება ისე, რომ მაინც და მაინც „ცენტრ პოინტის“ ამ ძალიან მძიმე შემთხვევით ვინც სარგებლობს და შემოდის ამ სქემაში, არიან „ქართული ოცნების“ შემომწირველები და დედაქალაქის მერთან დაახლოებული ადამიანები“ და თავადვე გასცა პასუხი ამ შეკითხვას - „იმიტომ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე არაკეთილსინდისიერი მექანიზმი, სადაც ყველაფრის უფლებას ვაძლევთ იმ დეველოპერებს, რომლებიც ამაში

მონაწილეობენ - პარკინგის უფლებებელყოფა, სატრანსპორტო სქემების უფლებებელყოფა და სახანძრო უსაფრთხოების უფლებებელყოფა“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება გააჩენს სხვა პრობლემებს.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სახანძრო უსაფრთხოების ნორმების უფლებებელყოფა არ დაშვებულა არც ერთ შემთხვევაში და არც ამ შემთხვევაში არ არის დაკმაყოფილებული „აღმა დეველოპმენტის“ მოთხოვნა და მიმართა საბა ბუაძეს - „საზოგადოება ნუ შეგყავს შეცდომაში“. აქვე აღნიშნა, რომ როდესაც ქალაქში იკრძალებოდა კ2 კოეფიციენტის გაყიდვა, მაშინვე ითქვა, რომ აღნიშნული შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც შეეხებოდა დაუმთავრებელ და კოოპერატიულ მშენებლობებს და ასევე, ავარიულ კორპუსებს. განაცხადა, რომ თუ კი სადღაც ხდება კ2 კოეფიციენტის გადამეტება და გაციემა გარკვეული არქიტექტურული და ურბანული პრეფერენციები, გამოწვეულია იმ აუცილებელი საჭიროებით, რომელიც ქალაქში უკვე ოც წელზე მეტია დგას და, სამწუხაროდ, არ ვართ ისეთი ქალაქი, რომელიც საკუთარი ბიუჯეტით შეძლებს ამ პრობლემის მოგვარებას. მისი თქმით, არ არსებობს იმის პრეცედენტი, როდესაც კერძო სამშენებლო კომპანიის მიერ დაზარალებულების დაკმაყოფილება ხდება სახელმწიფოს მიერ და რადგან დღევანდელმა ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო რამდენიმე ათეულ ათას ადამიანზე, უწევს ამ მსხვერპლის გაღება. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ შეცვლილია წლების განმავლობაში არსებული კ2 კოეფიციენტის გადამეტების ფორმულა, რომელიც იყო „მავნებლური“ და დღეს შეფასებები ხდება საბაზრო ღირებულებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

67. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.:01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „1 ინვესტმენტის“ (ს/ნ.: 405193277) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, გორგასლის ქ.N6 (ს/კ.: N01.18.05.001.006) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „1 ინვესტმენტი“ 93000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, გორგასლის ქ.N6-ში, მიიღებს კ2 კოეფიციენტის მატების უფლებას 4.6-დან 5.5-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

68. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების თვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957), შპს „ისანი თაურსის“ (ს/ნ.: 404614681) და შპს „წერეთელი თაურსის“ (ს/ნ.: 404614707) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N45 (ს/კ.: N01.13.06.010.019) და ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ.: N01.17.13.038.024) დამატებითი/დაზუსტებითი მხარდაჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ შპს „ისანი თაურსის“ და შპს „წერეთელი თაურსის“ ორ ობიექტზე, ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N45-ში და ქეთევან წამებულის გამზ. N69-ში კ2 კოეფიციენტი გადამეტებული იყო 9.0-მდე, რაშიც კომპანიას გადახდილი აქვს 20000000 ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია წერეთელზე არ ითვისებს 6.0-ზე მეტ კოეფიციენტს, მოგვმართა აუთვისებელი კოეფიციენტის „ისანი თაურსის“ ობიექტზე გადატანის თხოვნით. თუმცა, აღნიშნული კ2 კოეფიციენტის გამოყენება არ მოხდება ამ ობიექტზე, ის გადანაწილდება მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რადგან კომპანიას ჯერ არ აქვს დასრულებული ტრანზაქცია გრგ-ს შესყიდვასთან დაკავშირებით.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით „სამართლებრივი აბსურდია“ კ2 კოეფიციენტის მოკლება ერთ ობიექტზე და მისი გადატანა სხვა ობიექტზე.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მთავრობის 59-ე დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია კ2 კოეფიციენტის მატება, რაც გულისხმობს სამართლებრივ საფუძველს, რომ ნებისმიერ სხვა მიწის ნაკვეთზე მოხდეს კ2 კოეფიციენტის გადატანა.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს ისე, რომ გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები და წარმოუდგენელი აბსურდია ის, რომ კომპანიას ამა თუ იმ ობიექტზე ვერათვისებული კოეფიციენტი დაუმატო სხვა ობიექტზე. აქვე განაცხადა, რომ კოეფიციენტის მატების თითქმის ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულია საპარკინგე პრეფერენციები და როგორც კი სადმე იხსნება საპარკინგე შეზღუდვა, იმ კონკრეტულ არეალზე იქმნება პარკინგის პრობლემა, რაც ისედაც უდიდესი პრობლემაა და აქედან გამომდინარე, მოსაფიქრებელია რაღაც გამოსავალი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ არათუ პარკინგის შეზღუდვის მოხსნა, არამედ ზოგადად, პრობლემაა კ2 კოეფიციენტის გადაჭარბება და იმედი გამოთქვა, რომ მალე დასრულდება იმ პრობლემის მოგვარება, რისთვისაც კეთდება აღნიშნული და ეს საკითხი დასრულდება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ პარკინგთან დაკავშირებით პრეფერენცია ეხება მხოლოდ ნამატ ფართს და არა სრულად პარკირების ადგილებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

69. „ქ.თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ. N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) -



არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „მერიკას“ (ს/ნ.: 400266252) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, N2ა, ქ.თბილისი, ბაგეზი, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, N2 - მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.14.08.005.067) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „მერიკა“ 173000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, N2ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 3.5-დან 5.0-მდე, რაც ნიშნავს სამი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

70. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ.: 454407721) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.19.36.014.623) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „ალფა დეველოპმენტი“ 62000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 2.4-დან 2.5-მდე. აქვე, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პრეფერენციები შეეხება მხოლოდ სიმაღლესა და გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელ ნორმებს და არა სახანძრო უსაფრთხოებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

71. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115);

ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ზოხუას ქ.№10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ნ პლუსის“ (ს/ნ.: 205226995) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, შესახვევი რატევანის I, N4, (ს/კ.: N01.12.09.003.013) - არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „ნ პლუსი“ 62571 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, რატევანის I, N4-ში არსებულ 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5, მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 2.1-დან 2.7-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

72. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიდმისმასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ზოხუას ქ.№10 (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და სს „ვენჯორჯიას“ (ს/ნ.: 404885335) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის ქ.№35 (ს/კ.: N01.10.10.025.050) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N407 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში სს „ვენჯორჯიას“ მიეცა „კ“ ზღვრული მაჩვენებლების მატების უფლება, თუმცა მან უარი განაცხადა თანხის ანაზღაურებაზე და აქედან გამომდინარე, ვიღებთ გადაწყვეტილებას საკრებულოს განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და შესაბამისად, კომპანია, მარშალ გელოვანის გამზირზე, ვერ ისარგებლებს პრეფერენციებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

73. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ერთი საშტატო ერთეულის გადატანა საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განოფილებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 14 დადგენილება და 59 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის  
პირველი მოადგილე

გიორგი ახვლედიანი